შესყიდვების მარეგულირებელი ნორმები აზიის განვითარების ბანკის მსესხებლებისათვის

საქონელი, სამუშაოები, არა საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურება

აზიის განვითარების ბანკი

შესყიდვების მარეგულირებელი ნორმები აზიის განვითარების ბანკის მსესხებლებისათვის

საქონელი, სამუშაოები, არა საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურება

აზიის განვითარების ბანკი

Creative Commons Attribution-NonCommercial-NoDerivs 3.0 IGO license (CC BY-NC-ND 3.0 IGO)

© 2017 აზიის განვითარების ბანკი
ADB გამზირი, 6, მანდალუონგი, 1550 მეტრო მანილა, ფილიპინები
ტელ +63 2 632 4444; ფაქსი +63 2 636 2444
www.adb.org
ცალკეული უფლებები დაცულია. გამოქვეყნდა 2017 წელს.
ISBN 978-92-9257-917-3 (Print), 978-92-9257-918-0 (e-ISBN)
Publication Stock No. TIM178808
http://dx.doi.org/10.22617/TIM178808
ADB არ იძლევა გარანტიას წინამდებარე პუბლიკაციაში მოყვანილი მონაცემების სიზუსტეზე და პასუხისმგებლობას არ იღებს მათი გამოყენებით დამდგარ რაიმე შედეგზე.
კონკრეტული კომპანიების ან მწარმოებლების პროდუქტების ხსენება არ ნიშნავს, რომ ისინი ADB–ს მიერ არის მოწონებული ან რეკომენდებული, ან ბანკის მიერ ხდება მათთვის უპირატესობის მინიჭება სხვა იმ მსგავს პროდუქტებთან მიმართებაში, რომელიც მოცემულ გამოცემაში არ არის ნახსენები.
კონკრეტული ტერიტორიის ან გეოგრაფიული არეალის აღნიშვნა ან მითითება, ან ამ დოკუმენტში ტერმინის „ქვეყანა“ გამოყენება, არ წარმოადგენს ADB-ს მოსაზრებას რომელიმე ტერიტორიის ან რეგიონის იურიდიულ ან სხვა სტატუსთან დაკავშირებით.
გამოცემა ხელმისაწვდომია შემდეგი ლიცენზიის პირობების შესაბამისად: Commons Attribution-NonCommercial-NoDerivs 3.0 IGO license (CC BY-NC-ND 3.0 IGO) http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/3.0/igo/.
წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით ზემოხსენებული ლიცენზიის პირობებს.
უფლებებისა და ნებართვების გასაცნობად, გთხოვთ, გაეცნოთ გამოყენების წესებსა და პირობებს://www.adb.org/ terms-use#openaccess http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/3.0/igo/ http://www.adb.org/
აღნიშნული CC ლიცენზია არ ვრცელდება ამ პუბლიკაციაში მოცემულ იმ მასალებზე, რომლებზეც საავტორო უფლებები ADB-ს საკუთრებას არ წარმოადგენს.
თუ მასალა სხვა წყაროს მიეკუთვნება, კვლავ წარმოების ნებართვის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდით აღნიშნული წყაროს საავტორო უფლებების მფლობელს ან გამომცემელს.
ADB პასუხისმგებელი არაა ნებისმიერი იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც წარმოიშობა მოყვანილი მასალის გამოყენების შედეგად.
შინაარსთან დაკავშირებით არსებული კითხვებისა ან კომენტარების არსებობის შემთხვევაში, საავტორო უფლების, არასტანდარტული ნებართვის ან ADB-ის ლოგოს გამოყენებაზე გთხოვთ დაუკავშირდით pubsmarketing@adb.org
pubsmarketing@adb.org
შენიშვნები:
წინამდებარე გამოცემაში, “$” აღნიშნავს აშშ დოლარს.
ADB–ს პუბლიკაციებში შემჩნეული შეცდომების ჩასწორებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
http://www.adb.org/publications/corrigenda
შესყიდვების მარეგულირებელი ნორმები აზიის განვითარების ბანკის მსესხებლებისათვის, Originally published by ADB in English under the title:
Procurement Regulations for ADB Borrowers
© 2017 Asian Development Bank
Creative Commons Attribution-NonCommercial-NoDerivs 3.0 IGO license (CC BY-NC-ND 3.0 IGO)
Available at:
https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf
შესყიდვების მარეგულირებელი ნორმები აზიის განვითარების ბანკის მსესხებლებისათვის, მთარგმნელი: ანა ჩიქოვანი :: თარგმნის რედაქტორი: გიორგი ყუფარაძე
© თარგმანი ქართულ ენაზე, დელტას მთარგმნელობითი ჯგუფი, [2021]. შპს დელტა დეველოპმენტ გრუპი [ID 412702446]. www.iword.ge :: www.delta-group.ge

შინაარსი

I. შესავალი 1

მიზანი 1

განხილვის ზოგადი საკითხები 2

მიზანთან შესაბამისობა 4

შესყიდვის ალტერნატიული პროცედურები 5

რეგულაციების გამოყენება 6

შესყიდვები იმ კონტრაქტების ფარგლებში, რომლებიც არ არის დაფინანსებული აზიის განვითარების ბანკის მიერ 6

დასაშვებობა 7

ინტერესთა კონფლიქტი 9

არასამართლიანი კონკურენტული უპირატესობა 10

წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებები და რეტროაქტიული დაფინანსება 10

აზიის განვითარების ბანკის შეფასება 11

შეუსაბამობა 11

საჩივრები 12

მიუკერძოებლობა 12

ელექტრონული შესყიდვების სისტემა 12

შესყიდვების გეგმა 13

შესყიდვები არასუვერენული ოპერაციების ფარგლებში 13

II. შესყიდვის მეთოდები და პირობები 15

შეთავაზებების ღია კონკურენტული წარმოდგენა 17

შეთავაზებების შეზღუდული კონკურენტული წარმოდგენა 17

ჩარჩო ხელშეკრულებები 17

მოთხოვნა ფასის შეთავაზების შესახებ 18

ელექტრონული რევერსული აუქციონი 19
ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმება 19
განხორციელება საკუთარი ძალებით 21
შესყიდვის ღონისძიებების განსაკუთრებული ტიპები 22
ა. კონსულტანტების შერჩევა 22
ბ. ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა 22
გ. შესყიდვები სპეციალიზებული სააგენტოებიდან 23
დ. შესყიდვები მყიფე და კონფლიქტურ სიტუაციებში 23
ე. შესყიდვის აგენტები 24
ვ. მთავრობების დახმარება საჯარო-კერძო თანამშრომლობისათვის 24
ზ. მაღალი დონის ტექნოლოგიის შესყიდვა 25
თ. შესყიდვები შესრულების მიხედვით 25
ი. საზოგადოების მონაწილეობა შესყიდვებში 26
კ. შესყიდვები აზიის განვითარების ბანკის მიერ გარანტირებული სესხებით 27
დანართი 1: ღირებულების ფასთან შესაბამისობა 28
შესავალი 28
ღირებულების ფასთან შესაბამისობის მიღწევა 28
ღირებულების ფასთან შესაბამისობის დაგეგმვა 29
დანართი 2: შესყიდვების დაგეგმვა 31
დანართი 3: ღია კონკურენტული სატენდერო პროცედურა 34
ხელშეკრულებების ტიპი და ზომა 34
სატენდერო წინადადების ორ ეტაპიანი წარდგენა 35
ორ-კონვერტიანი სატენდერო წინადადება 36
შეტყობინება და ინფორმაციის გავრცელება 36

პრეტენდენტების პრე-კვალიფიკაცია 37
ერთობლივი საწარმოები 39
სატენდერო დოკუმენტაცია 40
შეთავაზებების მოქმედების ვადა და გარანტია 40
ენა 41
სატენდერო დოკუმენტაციის სიცხადე 41
ხარისხის განსაზღვრა 42
ბრენდის დასახელების გამოყენება 43
საქონლისა და სამუშაოების ფასი 43
ფასის კორექტირება 44
ტრანსპორტირება და დაზღვევა 45
პროფესიული პასუხისმგებლობა 45
სავალუტო დათქმა 45
ალტერნატიული წინადადებები 46
ხელშეკრულების პირობები 46
ხელშეკრულების მენეჯმენტი 46
შესრულების შესრულების გარანტია 47
დებულებები ზიანის ანაზღაურებისა და ბონუსის შესახებ 47
ფორს მაჟორი 47
მოქმედი კანონი და დავების განხილვა 47
წინადადებების მომზადების დრო 48
წინადადებების გახსნის პროცედურები 48
შეთავაზებების განმარტებები ან ცვლილებები 50
კონფიდენციალურობა 50
წინადადებების შემოწმება 50
წინადადებების შეფასება და შედარება 51
შეფასების ანგარიში 51
არანორმალურად დაბალი შეთავაზებები 51
შიდა პრეფერენციები 52
წინადადებების მოქმედების ვადის გაგრძელება 52
პრეტენდენტების პოსტ კვალიფიკაცია 53

განზრახვა ხელშეკრულების მინიჭებაზე 53

ხელშეკრულების მინიჭების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება 55

ყველა წინადადების უარყოფა 55

მოკლე საინფორმაციო შეჯამების მომზადება 57

დანართი 4: საკონსულტაციო მომსახურების შერჩევა წინადადებების ღია კონკურენტული წარმოდგენით 58

შერჩევის მოკლე სია 58

შერჩევის მეთოდები 58

საკონსულტაციო მომსახურების ფასები 60

საკონსულტაციო მომსახურების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია 61

დანართი 5: შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია 62

ძირითადი მოთხოვნები 62

საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შეფასება 63

საკონსულტაციო მომსახურების შეფასება 64

დანართი 6: შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების შეფასება აზიის განვითარების ბანკის მიერ 67

შესყიდვების გრაფიკი 67

წინასწარი განხილვა 68

პოსტ შეფასება (შერჩევითი მიდგომა) 70

დანართი 7: სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრები 72

მიზანი 72

მოქმედების სფერო 72

საჩივარი 73
განსახილველი მოთხოვნები 74
განხილვის პროცესი 75
წინასწარი განხილვა 75
პოსტ შეფასება (შერჩევითი მიდგომა) 76
გადაწყვეტილება 77
როლები და პასუხისმგებლობები 78
მონიტორინგი და ანგარიშგება 79
ხელშეკრულებების ადმინისტრირება 79

დანართი 8: ხელშეკრულების მენეჯმენტი 80
დანართი9: ფუნქციები და ვალდებულებები აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში 83

მიზანი 83
პასუხისმგებლობა შესყიდვებზე 83
აზიის განვითარების ბანკის როლი 84
ინფორმაცია წინადადებების წარმოდგენაზე 85
პრეტენდენტის როლი 85
კონფიდენციალურობა 86
აზიის განვითარების ბანკის მიერ განსახორციელებელი ქმედებები 86
მოკლე საინფორმაციო შეჯამების მომზადება 87

I. შესავალი

მიზანი

1.1 აზიის განვითარების ბანკის (ADB) შესყიდვების პოლიტიკის „მარეგულირებელი ნორმები“-ს გამოყენების მიზანია მიაწოდოს ინფორმაცია საქონლის, სამუშაოების, არა საკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის პროცედურებსა და რეგულაციებზე პროექტის იმ განმახორციელებლებს, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ მართავენ ADB-ის მიერ სესხის[1], ინვესტიციის ან/და გრანტის[2] მეშვეობით დაფინანსებულ პროექტებს. დაფინანსების ხელშეკრულება არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს მსესხებელსა და ADB-ს შორის, მოცემული ნორმები ეხება საქონლის, სამუშაოების და მომსახურების[3] შესყიდვებს პროექტების ფარგლებში, როგორც ეს დაფინანსების ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.[4]

1.2 მსესხებლისა და საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიმწოდებლის უფლებები და მოვალეობები რეგულირდება სატენდერო დოკუმენტაციითა და მსესხებლის მიერ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებებით, და არა ამ წესებით ან დაფინანსების შეთანხმებებით.

---

1 ეს რეგულაციები არ ვრცელდება შედეგებზე ან პოლიტიკაზე დაფუძნებულ სესხებზე.

2 ADB-ის მიერ, საგრანტო დაფინანსებით განხორციელებული ტექნიკური დახმარებისა (TA) და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების პროექტებში შერჩევა, ჩართვა და ზედამხედველობა რეგულირდება TA- ს პერსონალის ინსტრუქციებით.

3 ამ დებულების მიზნებისათვის, „მომსახურება“ მოიცავს როგორც არასაკონსულტაციო, ისე საკონსულტაციო მომსახურებას, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4 წარმოდგენილ მარეგულირებელ ნორმებში გამოყენებული ტერმინი „მსესხებელი“ მოიცავს ADB–ის მიერ დაფინანსებული გრანტებისა და ADB–ის მიერ ადმინისტრირებული ფონდების მიმღებებს და აღნიშნავს ADB–ის მიერ დაფინანსებული პროექტის განმახორციელებელ უწყებას, თითოეულ შემთხვევაში ADB–ის სუვერენული ოპერაციების კონტექსტის გათვალისწინებით. თუ კონკრეტულად მითითებული არ არის, მსესხებელი არ მოიცავს მსესხებელს ADB-ის არასუვერენულ ოპერაციებში. ზოგიერთ შემთხვევაში, მსესხებელი მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს და პროექტს ახორციელებს სხვა სააგენტო ან სუბიექტი, რა შემთხვევაშიც ეს დებულება მსესხებელთან მიმართებით მოიცავს როგორც მოცემულ სააგენტოებსა და სუბიექტებს, ასევე ქვე-მსესხებლებს, ქვე-სესხის შეთანხმების შესაბამისად.

განხილვის ზოგადი საკითხები

1.3 პროექტის განხორციელებაზე, და შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ხელშეკრულებების მინიჭებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მსესხებელს. ADB-ი, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს გამოყოფილი დაფინანსების სახსრების გამოყენება ამ რეგლამენტში განსაზღვრული პრინციპებისა და მოსაზრებების სრული გათვალისწინებით, რისკებზე ადაპტირებული და მიზნებზე ორიენტირებული შესყიდვების წესების შესაბამისად.

1.4 მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში შესყიდვების კონკრეტული წესები და პროექტის განხორციელების პროცედურები დამოკიდებულია პროექტის კერძო გარემოებებზე, ADB–ს მოთხოვნების საფუძველი შემდეგი ექვსი ძირითადი პრინციპია (ერთობლივად წოდებული როგორც "შესყიდვების ძირითადი პრინციპები"):

ა) ეკონომია: საჭიროების მიხედვით ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიცაა ფასი, ხარისხი და ნებისმიერი არამატერიალური მახასიათებელი, პროექტის მდგრადობაზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე.

ბ) ეფექტიანობა: მოსალოდნელ შედეგთან და პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებისა და ღირებულების შესაბამისი შესყიდვის პროცედურების უზრუნველყოფა ხარჯთ-ეფექტიანობის, დროითი შეზღუდვისა და განხორციელების შესაძლებლობის მხედველობაში მიღებით.

გ)სამართლიანობა: (i) უფლებამოსილი პრეტენდენტებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველყოფა;[5] (ii) უფლებებისა და ვალდებულებების სამართლიანი გადანაწილების უზრუნველყოფა მსესხებელსა და პროექტის, საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელს შორის; და (iii) სანდო მექანიზმების გარანტირება შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის.

[5] ამ რეგულაციების მიზნებისათვის, "პრეტენდენტი" ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც წარადგენს წინადადებას, განაცხადს ან ფასის შეთავაზებას ხელშეკრულების მიღების მიზნით, მოცემულ დებულებაში განსაზღვრული შესყიდვის ერთ-ერთი მეთოდის შესაბამისად. "პრეტენდენტი" შეიძლება იყოს საქონლის მიმწოდებელი, სამუშაოების მწარმოებელი კონტრაქტორი ან საკონსულტაციო ან არასაკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი.

ADB ხელს უწყობს ღია კონკურენციას, როგორც შესყიდვების სასურველ მიდგომას, სადაც ეს შესაძლებელია, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ტენდერში მონაწილეობის სამართლიანი შესაძლებლობა.

დ) გამჭვირვალობა: სათანადო დოკუმენტაციისა და შესყიდვების პროცესის აქტივობების მიმოხილვის შედეგად, უზრუნველყოს, რომ (I) შესაბამისი ინფორმაცია შესყიდვების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, თანმიმდევრულად და დროულად, ადვილად ხელმისაწვდომი და ფართო მასშტაბით არსებული წყაროების მეშვეობით, უფასოდ ან გონივრული ღირებულებით; არსებობს შესყიდვების საქმიანობის შესაბამისი ანგარიში; და კონფიდენციალურობის დებულებები ხელშეკრულებებში გამოიყენება მხოლოდ იქ, სადაც ეს გამართლებულია.

ე) ხარისხი[6]: შესყიდვების პროცედურების[6] სტრუქტურირება რესურსების გაღებისა და შედეგების მიწოდებისთვის შესაფერისი სტანდარტის დაცვით, დროულად და ეფექტიანად, რათა მიღწეულ იქნას პროექტისა და განვითარების მიზნები შესყიდვების კონტექსტის, რისკის, ღირებულებისა და სირთულის გათვალისწინებით.

ვ) ღირებულების ფასთან შესაბამისობა: მსესხებლისთვის შესაძლებლობის მიცემა, მიიღოს ოპტიმალური სარგებელი რესურსების ეფექტიანი, შედეგიანი და ეკონომიური გამოყენებით, შესყიდვების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ასევე, შესაძლოა მოიცავდეს მსესხებლის სასიცოცხლო ციკლის ხარჯებსა და სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განვითარების მიზნებს. მარტოოდენ ფასი შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს ღირებულების ფასთან შესაბამისობას.

---

[6] შესყიდვების პროცედურები მოიცავს შესყიდვების ცვლილებებს, და, თუკი კონტექსტი ამის ნებას იძლევა, როგორც მსესხებლის პასუხისმგებლობის ბუნებასა და მოცულობას, ასევე ADB-ს ზედამხედველობას.

მიზანთან შესაბამისობა

1.5 მიზანშეწონილობისთვის საჭიროა შესყიდვების ზომების მიღება სიტუაციის სტრატეგიული საჭიროებებისა და ვითარების სათანადოდ ასახვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტიზებული მიდგომა ეფექტურად ვერ აკმაყოფილებს პროექტის შედეგებსა და განვითარების მიზნებს, მათ შორის, შესაძლებლობების შეზღუდულ გარემოში, შესაძლოა შემუშავდეს მორგებული მიდგომა, რაც გულისხმობს ტრანზაქციის კონკრეტულ მეთოდებსა და შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობას.[7]

1.6 ღია კონკურენტული სატენდერო წინადადებები (OCB), სათანადოდ ადმინისტრირებული და თანაბრად ხელმისაწვდომი ეროვნული და საერთაშორისო პრეტენდენტებისთვის, უმეტეს შემთხვევაში ხარისხის ფასთან შესაბამისია, და ამიტომ რეკომენდებულია, როგორც ყველაზე შესაფერისი მეთოდი. რეგულაციების მეორე ნაწილში აღწერილია OCB-ის პროცედურები.

1.7 კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შესყიდვის სხვა მეთოდები. შესსყიდვის სხვა მეთოდები და მათი გამოყენების პირობები აღწერილია ამ გამოცემის მე-2 ნაწილში.

1.8 იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც შესყიდვის სხვა მეთოდები შესაძლოა შესაფერისად იქნას მიჩნეული, ADB ცნობს შესყიდვების ალტერნატიული პროცედურების გამოყენებას, რომელიც დაკონკრეტებულია 1.9 პარაგრაფში.

[7] კონკრეტული მეთოდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შესყიდვებისთვის მოცემული პროექტის ფარგლებში, განსაზღვრულია შესყიდვების გეგმაში.

შესყიდვის ალტერნატიული პროცედურები

1.9 ADB-მ შესაძლოა თანხმობა განაცხადოს: (ა) პროექტში ჩართული სხვა მრავალმხრივი ან ორმხრივი სააგენტოს ან ორგანიზაციის შესყიდვების წესებისა და პროცედურების გამოყენებაზე, და თანხმობა განაცხადოს ასეთი მხარისთვის წამყვანი როლის მინიჭებაზე განხორციელების მხარდაჭერის უზრუნველყოფასა და პროექტის შესყიდვების საქმიანობის მონიტორინგში ან (ბ) ADB–ს მიერ აკრედიტირებული მსესხებლის სააგენტოს ან სუბიექტის მიერ შესყიდვების წესებისა და პროცედურებით ხელმძღვანელობას, იმ პირობით, რომ თითოეულ შემთხვევაში ასეთი შეთანხმებები (i) შეესაბამება შესყიდვის ღირებულებას, რისკს ან სირთულეს; (ii) შეესაბამება შესყიდვების ძირითად პრინციპებს; და რომ (iii) უარის არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ADB–ის წევრი ქვეყნის უფლებამოსილების შეზღუდვები, რომლებიც მოცემულია 1.14 პარაგრაფში; (iv) იმ პირობით რომ გამოიყენება ADB–ს ანტიკორუფციული პოლიტიკის და მთლიანობის სახელმძღვანელო პრინციპები[8] (ორივეში შეტანილი პერიოდული ცვლილებების შესაბამისად) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ADB–ს ანტიკორუფციული სახელმძღვანელო მითითებები“) და მსესხებელთან მოქმედი დაფინანსების ხელშეკრულებებში არსებული მიდგომები.

1.10 შესყიდვების ალტერნატიული ღონისძიებებისთვის ADB ითხოვს შეფასებას ფიდუციარული რისკებისა და დამკვიდრებული შემარბილებელი ზომების გათვალისწინებით.

8 ADB. 1998. ანტიკორუფციული პოლიტიკა . მანილა. https://www.adb.org/documents/anticorruption-policy და ADB. 2015. ეთიკის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები. მანილა. https://www.adb.org/documents/integrityprinciples-and-guidelines

რეგულაციების გამოყენება

1.11 ეს დებულებები არეგულირებს მსესხებლის საჭიროების მიხედვითა და მთლიანად ან ნაწილობრივ ADB–ს მიერ დაფინანსებულ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვას.

1.12 წარმოდგენილი რეგულაციების მიზნებისათვის, მომსახურება მოიცავს ორი სახის მომსახურებას:

ა) საკონსულტაციო მომსახურება, რომელსაც აქვს ინტელექტუალური და პროფესიული რჩევის ხასიათი და მოიცავს ტექნიკური წინადადებების შეფასებას და მასთან დაკავშირებულ მიდგომებს, მეთოდოლოგიას, დარგობრივი სპეციალიზაციის ექსპერტებს და
ბ) არასაკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მოიცავს: (I)უმეტესწილად ფიზიკური სამუშაოების შემცველ საქმიანობას, და რომლის შესახებაც ხელშეკრულება ფორმდება გაზომვადი ფიზიკური შედეგის საფუძველზე და შესაძლებელია შესრულების სტანდარტების მკაფიოდ განსაზღვრა და თანმიმდევრულად გამოყენება; (II) ან რუტინული სერვისები, რომლებიც, მართალია, ექსპერტების საჭიროებას მოითხოვს, მაგრამ ამავდროულად ემყარება აღიარებულ და სტანდარტულ, ადვილად ხელმისაწვდომ რესურსებს, არ საჭიროებენ შეფასების სპეციფიკურ მეთოდოლოგიას ან ტექნიკას.

შესყიდვები იმ კონტრაქტების ფარგლებში, რომლებიც არ არის აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული

1.13 მსესხებელი უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა პროცედურები საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვებისათვის იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებიც არ არის დაფინანსებული ADB-ს მიერ. ასეთ შემთხვევებში, ADB უნდა დარწმუნდეს, რომ პროექტის გულმოდგინედ და ეფექტურად განხორციელების მიზნით გამოყენებული პროცედურებით მსესხებელი შეასრულებს ვალდებულებას, და რომ:

ა) შესასყიდი საქონელი, სამუშაოები და მომსახურება დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა, თავსებადია პროექტის ბალანსთან,
ბ) მისი მიწოდება ან შესრულება მოხდება დროულად და
გ) ღირებულება განისაზღვრება ისე, რომ უარყოფითად არ იმოქმედებს პროექტის ეკონომიკურ და ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე.

დასაშვებობა

1.14 გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დირექტორთა საბჭოს მიერ დადგენილ იქნება განსხვავებული წესი, გამოიყენება შემდეგი მიდგომები: (i) სპეციალური ფონდების რესურსებიდან მიღებული სესხები ან გრანტები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვისთვის, რომლებიც წარმოებული და მოწოდებულია წარმოდგენილ რესურსებში წვლილის მქონე, განვითარებული წევრი ქვეყნებიდან, ან განვითარებადი წევრი ქვეყნებიდან; და (ii) სესხები ან გრანტები ADB–ს ჩვეულებრივი კაპიტალის რესურსებიდან ან ADB–ს მიერ ადმინისტრირებული სახსრებიდან შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვისთვის, რომლებიც წარმოებულია ან მოწოდებულია წევრი ქვეყნებიდან.

1.15 კონკურენციის ასამაღლებლად, ADB–ს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისას, ADB მონაწილეობის უფლებას წინადადებების წარმოდეგნაზე აძლევს ყველა პრეტენდენტს დასაშვები ქვეყნებიდან. მონაწილეობის ნებისმიერი პირობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირობებით, რომლებიც აუცილებელია პრეტენდენტის მიერ მოცემული ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

1.16 ნებისმიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დაფინანსდეს ADB–ს მიერ სრულად ან ნაწილობრივ და რომელსაც მოიცავს 1.18, პარაგრაფი, ADB უფლებას არ აძლევს მსესხებელს, უარი უთხრას პრეტენდენტს მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომლებიც არ უკავშირდება ხელშეკრულების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო რესურსებსა და შესაძლებლობეს და, ასევე, არ აძლევს მსესხებელს ნებისმიერი

პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის უფლებას ამავე მიზეზების გამო. შესაბამისად, მსესხებლებმა სრულად უნდა გაითვალისწინონ პრეტენდენტების ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა, კონკრეტულ ხელშეკრულებასთან მიმართებით მათ შესაძლებლობებში დარწმუნების მიზნით.

1.17 საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ უნდა იყოს შემზღუდავი და, შესაბამისად, შემოიფარგლოს მხოლოდ იმ კრიტერიუმებით, რომელთა მიზანია პრეტენდენტის ან პრეტენდენტთა ჯგუფის აუცილებელი პროფესიული და ტექნიკური კვალიფიკაციისა და კომპეტენციის, ფინანსური რესურსების, აღჭურვილობისა და სხვა ფიზიკური საშუალებების, მენეჯერული შესაძლებლობების, შესაბამისი ზოგადი და სპეციფიკური გამოცდილების, ბიზნესის რეპუტაციის შეფასება ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობების დადგენისათვის. პრეტენდენტებს შეიძლება მოეთხოვოთ კვალიფიკაციისა და წინა პერიოდის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამდენად, სატენდერო წინადადებებთან ერთად, მათ უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტებში მითითებული დოკუმენტები და ინფორმაცია.

1.18 ზემოაღნიშნულის გამონაკლისები:

ა) პრეტენდენტები შეიძლება გამოირიცხონ შერჩევიდან, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების აქტით, მსესხებლის ქვეყანა კრძალავს საქონლის იმპორტს ან გადახდას კონკრეტული ქვეყნისთვის, პირისა ან სუბიექტისთვის ამ ქვეყანაში წარმოშობილი საქონლის ან მომსახურების მიმართ. თუ მსესხებლის ქვეყანა კრძალავს კონკრეტული ფირმის ან კონკრეტული საქონლის შესყიდვას შესაბამისობის შესახებ წარმოდგენილი აქტის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული კომპანია შესაძლებელია გამოირიცხოს შერჩევის პროცედურიდან.

ბ) მსესხებლის ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებს პრეტენდენტად მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ADB–ს სპეციალური თანხმობის შემთხვევაში.

გ) ზემოთ მოცემული (ბ) პუნქტის შეზღუდვის მიუხედავად, როდესაც მსესხებლის ქვეყანაში სახელმწიფო უნივერსიტეტების ან კვლევითი ცენტრების მიერ გაწეული მომსახურება ექსკლუზიური ბუნებისაა და მათი მონაწილეობა გადამწყვეტია პროექტის განხორციელებისთვის, ADB–ს შეუძლია, დათანხმდეს ამ ინსტიტუტების დაქირავებას კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე. ამავე საფუძველზე, უნივერსიტეტების ან კვლევითი ცენტრების თანამშრომლებს შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალური კონტრაქტები ADB–ს მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

დ) მსესხებლის ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეებისა და საჯარო მოსამსახურეების აყვანა ინდივიდუალურად ან საკონსულტაციო ფირმის გუნდის წევრებად შესაძლებელია მხოლოდ საკონსულტაციო ხელშეკრულებების საფუძველზე, თუ ისინი: ა) არ აგრძელებენ თანამშრომლობას იმ უწყებებთან, სადაც მუშაობდნენ უშუალოდ შვებულებაში გასვლამდე და ბ) მათი დასაქმება არ შექმნის ინტერესთა კონფლიქტს.

ე) ADB–ს ანტიკორუფციული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ADB–ს მიერ სანქცირებულ ან დროებითი აკრძალვის მქონე ფირმას ან ინდივიდს უფლება არა აქვს, ADB–ს მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღოს ADB–ს მიერ დაფინანსებულ ან ადმინისტრირებულ ხელშეკრულებაში, ან ასეთი ხელშეკრულებიდან მატერიალურად ან სხვა გზით მიიღოს სარგებელი.

ინტერესთა კონფლიქტი

1.19 ADB ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევს ისეთ სიტუაციას, რომელშიც შესაძლოა, მხარის ინტერესებმა არასასურველი გავლენა იქონიოს მის მიერ ოფიციალურ მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა შესრულებაზე, სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ან შესაბამის კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაზე. ინტერესთა კონფლიქტი, არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ADB–ს ანტიკორუფციულ სახელმძღვანელო მითითებების დარღვევად ჩაითვალოს თავისთავად, თუ იგი სათანადოდ იქნა განხილული ან შერბილებული.

1.20 ADB მოითხოვს, რომ პრეტენდენტებმა წინადადების წარდგენის დროს განაცხადონ ინტერესთა კონფლიქტის ყველა წყაროს შესახებ. ADB მიიღებს შესაბამის ზომებს ინტერესთა კონფლიქტის სამართავად ან შეიძლება უარყოს წინადადების შეთავაზება, თუ დაადგენს, რომ ინტერესთა კონფლიქტი აზიანებს შესყიდვების ნებისმიერი პროცესის მიუკერძოებლობას.

1.21 ADB მოითხოვს, რომ ყველას, ვინც მონაწილეობს ADB-ს მიერ დაფინანსებული პროექტის შესყიდვების პროცესში (i), არ ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი შესაბამის შესყიდვებთან დაკავშირებით, მოეთხოვებათ რა პროფესიონალიზმის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება; (ii) დაიცვან მსესხებლის უპირატესი ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება, სამომავლო სამუშაოების ყოველგვარი განხილვის გარეშე და თავიდან აიცილონ სხვა დავალებებთან, საკუთარ კორპორაციულ და პირად ინტერესებთან დაკავშირებული კონფლიქტები.

არასამართლიანი კონკურენტული უპირატესობა

1.22 შესყიდვების სამართლიანობა და გამჭვირვალობა მოითხოვს, რომ პრეტენდენტებმა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ კონკრეტული ხელშეკრულების მიღების პროცესში, აღნიშნულთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების გზით არ მიიღონ რაიმე არასამართლიანი კონკურენტული უპირატესობა. ამ მიზნით, ADB-მ ან მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს იმ ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა ყველა სავარაუდო პრეტენდენტისა და კონსულტანტისთვის, რომელიც პოტენციურად დაინტერესებულია აღნიშნული შესყიდვით.

წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებები და რეტროაქტიული დაფინანსება

1.23 თუ მსესხებელი განაგრძობს შესყიდვების საწყის ეტაპს შესაბამისი დაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერამდე, შესყიდვების პროცედურები, განცხადების გავრცელების ჩათვლით, ADB–სთვის მისაღები იქნება, თუ ეს უკანასკნელი წარმართულია წინამდებარე რეგულაციების შესაბამისად, ნებისმიერი იმ კონტრაქტისათვის, რომელიც მომავალი პერიოდისათვის დაფინანსდება ADB-ს მიერ.

124 წინასწარი ხელშეკრულების დადებას მსესხებელი ახორციელებს საკუთარი რისკით. მსესხებლის მიერ შესყიდვის საწყისი პროცედურების, დოკუმენტაციის, წინადადებების მიღების ან კონტრაქტის მინიჭების პროცედურების ADB–ს რეგულაციების მიხედვით წარმართვა არ აკისრებს ADB–ს აღნიშნული პროექტის დაფინანსების ვალდებულებას.

1.25 დაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მსესხებლის გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ADB–ს მიერ, მოიხსენიება, როგორც რეტროაქტიული დაფინანსება.

აზიის განვითარების ბანკის შეფასება

1.26 ADB განიხილავს მსესხებლის შესყიდვების პროცედურებს, დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებების შეფასებებს, ხელშეკრულების მინიჭების შესახებ რეკომენდირებულ მოსაზრებებს და დადებულ ხელშეკრულებებს რისკზე დაფუძნებული მიდგომით, წინასწარი და შემდგომი შეფასების (შემთხვევითი ამორჩევა) საშუალებით, რათა დაადგინოს შესყიდვების გამოყენებული პროცედურების შესაბამისობა შეთანხმებულ პროცედურებთან.

1.27 საჭიროების შემთხვევაში, ADB–ს შეუძლია უზრუნველყოს გაფართოებული მხარდაჭერა ისე, რომ არ შემცირდეს მსესხებლის მიერ შესყიდვების პროცედურის განხორციელებისა ან შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ პასუხისმგებლობა სრულად ან ნაწილობრივ.

1.28 ADB–ის შეფასების პროცედურები აღწერილია მე–6 დანართში. ADB–ის მიერ დამტკიცებული შესყიდვების გეგმით უნდა განისაზღვროს, თუ რა ხარისხით ახდენს გავლენას ბანკის შეფასება სხვადასახვა კატეგორიის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვაზე, იმ პროექტების ფარგლებში, რომლებიც ADB–ს მიერაა მთლიანად ან ნაწილობრივ დასაფინანსებელი.

შეუსაბამობა

1.29 შეუსაბამობა ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსესხებელი ან შესყიდვების პროცესში მონაწილე სხვა მხარეები ვერ ასრულებენ ამ რეგულაციის დებულებებს, მათ შორის,

კონკრეტული შესყიდვის შესაბამის მოთხოვნებს.

1.30 ასეთ შემთხვევებში, ADB–ს შეუძლია, შესაბამისი დაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალებების (მაგალითად, სესხის შეჩერება, რასაც მოჰყვება სესხის გაუქმება და სესხის ვადის დაჩქარება) გარდა, მიიღოს შესაბამისი ზომები, ფიდუციარული როლის აღსრულების შესაბამისად.

საჩივრები

1.31 სატენდერო პროცესში შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრები შეიძლება წარედგინოს მსესხებელს, ADB–ს ან ორივე მათგანს შესყიდვების პროცესის შესაბამის ეტაპზე.

1.32 ამგვარი საჩივრების განხილვა უნდა განხორციელდეს ობიექტურად და დროულად, გამჭვირვალედ და სამართლიანად. საჩივრის წარმოების პროცედურის შესახებ მითითებები მოცემულია მე-7 დანართში.

მიუკერძოებლობა

1.33 წინამდებარე რეგულაციებით გათვალისწინებული შესყიდვის პროცესის განმავლობაში, მსესხებლები და დაფინანსების ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა მხარე ყოველთვის მოქმედებენ ეთიკის უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად. მონაწილე მხარეთა მიერ სახსრების, რესურსების, აქტივებისა და უფლებამოსილების ნებისმიერი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ADB–ს ანტიკორუფციულ სახელმძღვანელოს.

ელექტრონული შესყიდვების სისტემა

1.34 შესყიდვების პროცესში გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის დამკვიდრებისათვის, ADB მოუწოდებს მსესხებლებს, მუდმივად მოახდინონ მათი შესყიდვების სისტემების მოდერნიზაცია, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით შესყიდვების გამოყენებით (ელექტრონული შესყიდვები).

1.35 ელექტრონული შესყიდვების ინსტრუმენტები რეკომენდებულია პრეტენდენტებთან კომუნიკაციისათვის, ინფორმაციის, შეტყობინებებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის, შესყიდვების

დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, სატენდერო წინადადებების ან შემოთავაზებების წარდგენისთვის და მინიჭებული ხელშეკრულებების შესახებ მონაცემების გასაჯაროებისათვის. ეს ღონისძიებები უნდა იყოს ადეკვატური, ეფექტიანი, დაცული, და ხელს არ უნდა უშლიდეს პოტენციური პრეტენდენტების მონაწილეობას.

1.36 ნებისმიერი ელექტრონული შესყიდვის სისტემა, რომელიც გამოიყენება ADB–ს მიერ დაფინანსებული ტრანზაქციებისათვის, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაცული, უზრუნველყოფდეს მთლიანობასა და კონფიდენციალობას, და გააჩნდეს აუდიტორული მტკიცებულების საკმარისი მახასიათებლები.

შესყიდვების გეგმა

1.37 მსესხებელი თითოეული პროექტისთვის შეიმუშავებს შესყიდვების გეგმას, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ უზრუნველყოფს შესყიდვების აქტივობები პროექტის განვითარების მიზნების განხორციელებასა და ღირებულების ფასთან შესაბამისობას რისკების მართვის მიდგომით.

1.38 გეგმაში წარმოდგენილია შესყიდვების მეთოდების შერჩევის ადეკვატური დასაბუთება. აგრეთვე, იგი პოტენციურ პრეტენდენტებს ადრეულ ინფორმაციას აწვდის მომავალი შესყიდვების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული უფრო დაწვრილებით მოცემულია მე- 2-ე დანართში.

შესყიდვები არასუვერენული ოპერაციების ფარგლებში

1.39 თუ საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების შესყიდვა ხდება იმ ხელშეკრულებებით, რომლებიც უნდა დაფინანსდეს ADB–ს არასუვერენული ოპერაციების შედეგად (i) ADB-ს სესხის, (ii) ADB–ს მიერ გარანტირებული სესხის ან (iii) კერძო სექტორისთვის გამოყოფილი გრანტის საფუძველზე, არასახელმწიფო მსესხებელმა ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ADB–ს გრანტის მიმღებმა, უნდა გამოიყენოს შესყიდვის შესაბამისი მეთოდები. აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს ღირებულების ფასთან შესაბამისობა მისაღები კომერციული ან კერძო პრაქტიკის შესაბამისად. მოცემული სესხისა ან გრანტის თანხების გამოყენება უნდა დაექვემდებაროს დასაშვებობის

კრიტერიუმებს, რომლებიც მოცემულია 1.14 პარაგრაფში, ხოლო მიუკერძოებლობის მოთხოვნები მოცემულია 1.33 პარაგრაფში.

II. შესყიდვის მეთოდები და პირობები

შეთავაზებების ღია კონკურენტული წარმოდგენა

2.1 შეთავაზებების ღია კონკურენტული წარმოდგენა (OCB) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული შესყიდვების უპირატესი მეთოდია.

2.2 OCB–ის მიზანს, როგორც ეს წინამდებარე რეგულაციაშია აღწერილი, წარმოადგენს ღირებულების ფასთან შესაბამისობის მიღწევა. აღნიშნული უზრუნველყოფილია კვალიფიციური პრეტენდენტებისგან ისეთი წინადადებების მოძიებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მსესხებლის ხარისხობრივ და ტექნიკურ მოთხოვნებს; შემსყიდველი დროულად და ადეკვატურად აცნობებს ყველა შესაძლო, სავარაუდო პრეტენდენტს მსესხებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ტენდერში მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობას.

2.3 OCB მოიცავს საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვას. შესასრულებელი პროცედურები და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია დამოკიდებულია კონკრეტული შესყიდვის თავისებურებებზე. აღნიშნული პროცედურები განმარტებულია მე–3 და მე–4 დანართებში.

2.4 OCB მეთოდის ძირითადი ეტაპებია:

(ა) ხელშეკრულების ტიპისა და ზომის განსაზღვრა, გარემოებებისა და მოთხოვნილი საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებით.

(ბ) ტექნიკური მოთხოვნების ან საორიენტაციო პირობების, ხარისხისა და შესრულების დონის განსაზღვრა.

(გ) პრეტენდენტის კვალიფიკაციის შეფასების სათანადო კრიტერიუმების გამოყენება.

(დ) შესყიდვის მეთოდის არჩევანი, ნებისმიერი კონკრეტული პროცედურული მოთხოვნის ჩათვლით (მაგალითად, ორ ეტაპიანი ან ორ კონვერტიანი ტენდერის გამოყენება).

(ე) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და შესყიდვების შეტყობინებების გამოქვეყნება.

(ვ) შეფასების ყველაზე შესაფერისი კრიტერიუმების შერჩევა, ხარისხისა და დანახარჯების ფაქტორების გათვალისწინებით.

(ზ) წინადადების წარდგენისა და განაცხადის გახსნის პროცედურების შესახებ შეტყობინება.

(თ) ხელშეკრულების მინიჭების პროცედურები, მოკლე ინფორმაციული შეჯამების გამოქვეყნების ჩათვლით.

(ი) ხელშეკრულების მენეჯმენტი

2.5 კონტექსტიდან გამომდინარე, ADB–ს შეუძლია დაუშვას სხვა მეთოდები და შეთანხმებები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ რეგულაციებში, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება წინამდებარე დებულების 1.4-ე პარაგრაფში მოცემულ შესყიდვების ძირითად პრინციპებს, 1.14-ე პარაგრაფში განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებსა და 1.33-ე პარაგრაფში ხსენებულ მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. ასეთი მეთოდებისა და გამოსაყენებელი საშუალებების შესახებ ინფორმაცია ან შეთანხმებების დასაბუთება უნდა შედიოდეს შესყიდვების გეგმაში.

შეთავაზებების შეზღუდული კონკურენტული წარმოდგენა

2.6 შეთავაზებების შეზღუდული კონკურენტული წარმოდგენა (LCB), ძირითადად, წარმოადგენს OCB-(შეთავაზებების ღია კონკურენტული წარმოდგენა)ს პირდაპირი მოწვევით, ღია განაცხადის გარეშე. ეს შეიძლება იყოს საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის შესაბამისი მეთოდი, რომელშიც:

(ა)პოტენციური პრეტენდენტების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა,

(ბ)ხელშეკრულების ღირებულება არ არის საკმარისად დიდი იმისათვის, რომ მოიზიდოს საკმარისი პრეტენდენტები OCB– ს საშუალებით, ან

(გ)არსებობს სხვა განსაკუთრებული მიზეზები, რომლებიც შეიძლება ამართლებდეს ღია განაცხადზე უარის თქმას.

2.7 LCB მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, კონკურენტული ფასების უზრუნველყოფის მიზნით, მსესხებლებმა წინადადებები პოტენციური პრეტენდენტების ფართო სიიდან უნდა მოიძიონ. როგორც წესი, თავდაპირველი შერჩევის სია ყველა პოტენციურ პრეტენდენტს მოიცავს. ამ მეთოდის დროს, ფაქტიურად გამოყენებულ უნდა იქნას OCB-ის ყველა პროცედურა, გარდა წინადადების წარმოდგენასა და ხელშეკრულების მინიჭების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისა.

ჩარჩო ხელშეკრულებები

2.8 ჩარჩო ხელშეკრულება (FA) ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელიც მინიჭებულია ამ რეგულაციაში მოცემული ერთ-ერთი მეთოდის საფუძველზე, ერთ ან რამდენიმე ხელშემკვრელ ორგანოსა და ერთ ან მეტ კონტრაგენტს, მომწოდებელს ან მომსახურების მიმწოდებელს შორის.[9] ამგვარი ხელშეკრულების მიზანია, დაადგინოს მოცემული პერიოდის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებების მარეგულირებელი პირობები, განსაკუთრებით ფასისა და, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული რაოდენობის საფუძველზე.

[9] ჩარჩო ხელშეკრულებების კონტექსტში "მომსახურების მიმწოდებელი" მოიცავს კონსულტანტებს, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.9 ჩარჩო ხელშეკრულება ასევე ადგენს პირობებსა და დებულებებს, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია კონკრეტული შესყიდვების ან მომსახურების განხორციელება (”მოთხოვნის ოფციონი”) ხელშეკრულების პირობის მოქმედების განმავლობაში.

მოთხოვნა ფასის შეთავაზების შესახებ

2.10 მოთხოვნა ფასის შეთავაზების შესახებ (RFQ) არის შესყიდვის მეთოდი, რომელიც ეფუძნება რამდენიმე მომწოდებლისგან (საქონლის შემთხვევაში), მომსახურების რამდენიმე მიმწოდებლისგან (მომსახურების შემთხვევაში), ან რამდენიმე კონტრაგენტისგან (სამოქალაქო სამუშაოების შემთხვევაში) მიღებულ ფასების შეთავაზებათა შედარებას.

2.11 RFQ არის შესაფერისი მეთოდი ადვილად ხელმისაწვდომი საქონლის, მცირე ღირებულების სტანდარტული საქონლის, სტანდარტული ან რუტინული მომსახურების, ან მცირე ღირებულების მარტივი სამშენებლო სამუშაოების შესაძენად.

2.12 RFQ-ში მითითებულია საქონლის აღწერა და რაოდენობა, სამუშაოების მომსახურების ან სპეციფიკაციების აღწერა, აგრეთვე სასურველი მიწოდების (ან შესრულების) დრო და ადგილი.

2.13 ფასის შეთავაზება შესაძლებელია ელექტრონული საშუალებით, წერილით ან ფაქსიმილით. კვოტირების შეფასება უნდა ემყარებოდეს იგივე პრინციპებს, როგორიც ეს ღია წინადადებების მეთოდით შესყიდვის შემთხვევაშია. მიღებული შეთავაზების პირობები შეტანილ უნდა იქნას შესყიდვის ორდერში ან ხელშეკრულების მოკლე ვერსიაში.

ელექტრონული რევერსული აუქციონი

2.14 ელექტრონული რევერსული აუქციონი (ელექტრონული აუქციონი) არის დაგეგმილი ონლაინ ღონისძიება, რომელშიც პრე-კვალიფიცირებული პრეტენდენტები ახალი ფასების შეთავაზების გზით წარადგენენ ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებებს. აღნიშნული ქვემოთ არის განხილული. იგი გამოიყენება სტანდარტიზებული პროდუქციის ან მომსახურების შესყიდვისათვის, როდესაც შესაძლებელია ტექნიკური სპეციფიკაციების ან მოთხოვნების ზუსტი აღწერა.

2.15 ელექტრონული აუქციონი წარმოადგენს ფასის შეთავაზების შესახებ განაცხადების მოთხოვნის კონკრეტულ გამოყენებას, რომელშიც ყველა პრეტენდენტი (რომლებიც წინასწარ შეირჩნენ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული არაკომერციული ფასის მინიჭების კრიტერიუმების შესაბამისად), პრე-კვალიფიკაციის შემდეგ დაუყოვნებლივ მოიწვევა ონლაინ აუქციონში. აღნიშნულის თარიღი, დრო და ვებგვერდი მითითებულია მოსაწვევში.

2.16 მოსაწვევში ასევე უნდა მიეთითოს შეფასების ავტომატიზებული მეთოდი, რომელიც პრეტენდენტების რანგირებისთვის გამოიყენება ელექტრონული აუქციონის დროს; აგრეთვე ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ.

ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმება

2.17 ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმება არის ხელშეკრულება კონკურენციის გარეშე (ასევე მოიხსენიება, როგორც შერჩევა ერთი წყაროდან) და შესაბამისი მეთოდია ისეთ სპეციალურ გარემოებებში, როგორებიცაა:

(ა) კონკურენციის პროცესის შესაბამისად მინიჭებული, არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი საგნების საჭიროება. ADB-ს მოთხოვნაა, რომ ასეთ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს უკეთესი შემოთავაზების უფრო მაღალი ალბათობა და გადასახდელი ფასი არ უნდა აღემატებოდეს საწყის ფასს. როგორც წესი, განმეორებითი შეკვეთა უნდა მოხდეს თავდაპირველი შეკვეთიდან 18 თვის განმავლობაში, ხოლო დამატებითი რაოდენობა, ჩვეულებრივ, არ აღემატება თავდაპირველი რაოდენობის 30%-ს.

(ბ) აღჭურვილობისა ან სათადარიგო ნაწილების არსებულ აღჭურვილობასთან შესაბამისობის სტანდარტიზებამ შესაძლოა გაამართლოს ორიგინალი მომწოდებლისგან დამატებითი შესყიდვები. ამგვარი შესყიდვების დასაბუთებისთვის, ორიგინალი მოწყობილობა უნდა იყოს შესაფერისი; ახალი ნივთების რაოდენობა, როგორც წესი, უნდა იყოს არსებულზე ნაკლები; ფასი უნდა იყოს გონივრული, და სხვა მწარმოებლის ან აღჭურვილობის წყაროს უპირატესობა განხილული და უარყოფილი უნდა იქნას ADB–სთვის მისაღები საფუძვლებით.

(გ) საჭირო ტექნიკა მესაკუთრეობრივია და მიიღება მხოლოდ ერთი წყაროდან ან საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი ფირმაა კვალიფიციური ან დავალების შესასრულებლად განსაკუთრებით ღირებული გამოცდილება გააჩნია.

(დ) პროცესის დიზაინზე პასუხისმგებელი კონტრაგენტი კონკრეტული მომწოდებლისგან მოითხოვს დეფიციტური ნივთების შეძენას, როგორც შესრულების გარანტიის პირობას.

(ე) მაშინ, როდესაც სავალდებულოა სამოქალაქო სამუშაოების ან არასაკონსულტაციო მომსახურების[10] კონტრაქტირება, და აღნიშნული წარმოადგენს იმ ადრეული ან მიმდინარე სამუშაოს ბუნებრივ გაგრძელებას, რომელიც კონკურენტული პროცესის შემდეგ გადაიცა, [11] შესაძლოა, იგივე კონტრაგენტის ჩართულობა მეტად ეკონომიური იყოს, რაც უზრუნველყოფს სამუშაოების ხარისხის გაზრდას.

(ვ) საკონსულტაციო მომსახურების დავალებებისთვის, რომლებიც წარმოადგენს საკონსულტაციო ფირმის მიერ შესრულებული წინა სამუშაოს ბუნებრივ გაგრძელებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია დეტალური სამუშაოების გაგრძელება (მაგ. ტექნიკური მიდგომის უწყვეტობა, შეძენილი გამოცდილება და იგივე კონსულტანტის პროფესიული პასუხისმგებლობა) და ავლენს აშკარა უპირატესობას განახლებულ კონკურენციასთან შედარებით.

[10] როდესაც დეტალური სამუშაოებისთვის აუცილებელია უწყვეტობა, თავდაპირველი სატენდერო დოკუმენტი ასახავს ამ შესაძლებლობას.

[11] თუ საწყისი დავალება მინიჭებული არ იქნა კონკურსის საფუძველზე, ან თუ დეტალური სამუშაო არსებითად უფრო დიდი ღირებულებისაა, გამოყენებულ უნდა იქნას ჩვეულებრივ ADB-ს მიერ განსაზღვრული კონკურენტული პროცესის კომპონენტები.

(ზ) ძალიან მცირე საკონსულტაციო დავალებებისთვის. [12]

(თ) გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფების საპასუხოდ. [13]

2.18 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მსესხებელი ინგლისურენოვან გაზეთში ან ინგლისურ ენაზე საჯაროდ და თავისუფლად ხელმისაწვდომ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების მიმწოდებლის სახელს, აგრეთვე ხელშეკრულების ღირებულებას, ხანგრძლივობასა და შეჯამებას. ეს პუბლიკაცია შესაძლოა გამოქვეყნდეს კვარტალურად და შეჯამებული ცხრილის ფორმატში, რომელიც წინა პერიოდს მოიცავს.

განხორციელება საკუთარი ძალებით

2.19 განხორციელება საკუთარი ძალებით ანუ სამშენებლო სამუშაოები მსესხებლის პერსონალისა და აღჭურვილობის გამოყენებით,[14] შეიძლება იყოს ერთადერთი პრაქტიკული მეთოდი ზოგიერთი სახის სამუშაოს შესასრულებლად. ამ მიდგომის გამოყენება შეიძლება გამართლებული იქნას ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

---

[12] დოლარის ზღვარი, რომელიც აღნიშნავს "ძალიან მცირე" ოდენობას, უნდა დადგინდეს თითოეულ შემთხვევაში, ADB–სთან შეთანხმებითა და დავალების ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით, მაგრამ, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 100,000 დოლარს.

[13] ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმება საქონლის, სამუშაოებისა და სერვისების მიმწოდებლებთან, არსებული სესხებისა და გრანტების გათვალისწინებით ახალ ხელშეკრულებებზე ნებადართული იქნება უკვე არსებული ხელშეკრულებების ხარჯების საფუძველზე, ინფლაციითა და ფიზიკური პირობებით გამოწვეული ცვლილებების მხედველობაში მიღებით. საქონლის, სამუშაოებისა და სერვისების კოლექტიურად შერჩეული მიმწოდებლები, სხვა დონორების მიერ დაფინანსებული მსგავსი პროექტებისთვის, ADB-ს მიერ დაფინანსებული ახალი ხელშეკრულებებისთვის განიხილებიან ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმების მიზნებისთვის.

[14] ნებისმიერი სამშენებლო დანაყოფი, რომელთა უმრავლესობაც მთავრობის საკუთრებაშია, და, შესაბამისად, ითვლება ხელისუფლებაზე დაქვემდებარებულად, ჩაითვლება საკუთარი რესურსებიs მქონე ერთეულად.

(ა) სამუშაოების რაოდენობა წინასწარ ვერ განისაზღვრება;

(ბ) სამუშაოები მცირე და მიმოფანტულია ან დისტანციურ ადგილებშია. ამდენად, სავარაუდოა, რომ კვალიფიციური სამშენებლო ფირმები არ მიიღებენ სატენდერო წინადადებას გონივრულ ფასად;

(გ) სამუშაოების განხორციელება მოთხოვნილია მიმდინარე ოპერაციების დარღვევის გარეშე;

(დ) გარდაუვალი სამუშაოების შეწყვეტის რისკების ტარება კონტრაგენტთან შედარებით, უმჯობესია მსესხებლის მიერ; ან

(ე) არსებობს საგანგებო სიტუაციები, რომლებიც საჭიროებენ დაუყონებლივ ყურადღებას.

შესყიდვების ღონისძიებების განსაკუთრებული ტიპები

ა. კონსულტანტების შერჩევა

2.20 საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, OCB იძლევა სატენდერო წინადადებების შეფასებისა და შედარების მეთოდებს, რათა გათვალისწინებულ იქნას როგორც ხარისხი, ისე ღირებულება, შესასყიდი საკონსულტაციო მომსახურების სპეციფიკური ხასიათისა და მათი შემენის პირობების შესაბამისად (დანართი 4). პრაქტიკაში, ეს ნიშნავს იმას, რომ მსესხებლებს შეუძლიათ:

(ა) შემოთავაზებული სერვისების ხარისხისა და ღირებულების დაბალანსება, ხარისხსა და ხარჯებზე დაფუძნებული შერჩევის (QCBS) გამოყენებით;

(ბ) პრიორიტეტი მიანიჭონ ხარისხს, ხარისხის საფუძველზე შერჩევის (QBS) ან კონსულტანტების კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის (CQS) მეშვეობით;

(გ) შეარჩიონ უმაღლესი კვალიფიკაციის კონსულტანტი ხელმისაწვდომი ბიუჯეტის ფარგლებში, ფიქსირებული ბიუჯეტის შერჩევის (FBS) გამოყენებით; ან

(დ) პრიორიტეტი მიანიჭონ ღირებულებას მინიმალური დანახარჯის შერჩევის გზით (LCS).

ბ. ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა

2.21 შესაძლოა, გარკვეული დავალებისთვის ინდივიდუალური კონსულტანტების აყვანა უფრო შესაფერისი და რენტაბელური იყოს, ვიდრე ფირმებისა. ინდივიდუალური კონსულტანტების მიღება შესაძლებელია მსესხებლის მიერ უშუალოდ მათი

ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად ან ისეთი ორგანიზაციის მეშვეობით, როგორიცაა საკონსულტაციო ფირმა, აკადემიური დაწესებულება, მთავრობა ან საერთაშორისო სააგენტო.

გ. შესყიდვა სპეციალიზებული სააგენტოებიდან

2.22 შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც შესყიდვების განხორციელება ყველაზე მიზანშეწონილია უშუალოდ სპეციალიზებული სააგენტოებისგან[15], რომლებიც საკუთარი პროცედურების შესაბამისად მოქმედებენ, როგორც მიმწოდებლები

(ა)არასაბაზრო საქონლის მცირე რაოდენობით შესყიდვისათვის, პირველ რიგში, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში; და (ბ) სპეციალიზებული პროდუქტების შესყიდვისათვის, რომლებშიც მიმწოდებლების რაოდენობა შეზღუდულია, მაგალითად, ვაქცინები ან წამლები.

დ. შესყიდვები მყიფე და კონფლიქტურ სიტუაციებში

2.23 მყიფე და კონფლიქტურ სიტუაციებში (FCAS)[16], ADB თვლის, რომ მსესხებელს ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება შემდეგ შემთხვევებში:

(ა) ადამიანური ან ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციები

(ბ) მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება რესურსების შეზღუდულობით ან სპეციფიკური მოწყვლადობით (მცირე სახელმწიფოების ჩათვლით)

ასეთ შემთხვევაში ADB–ს შეუძლია, დაუშვას შესყიდვების წინამდებარე რეგულაციების შესაბამისი დებულებების საფუძველზე სათანადო შესყიდვების ღონისძიებების გამოყენება ან სხვა შესაფერისი, მეტად საპასუხო მობილიზაციის ხელშემწყობი შესაფერისი პროცედურები.

---

15 სპეციალიზებული სააგენტოები წარმოადგენენ იურიდიულად დამოუკიდებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საკუთარი წესებით, წევრობით, ორგანოებითა და ფინანსური რესურსებით, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ურთიერთობა დაამყარეს მოლაპარაკებების საფუძველზე. როგორც ეს აღწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს მაკოორდინირებელ სისტემაში. 2016. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დირექტორია. http://www.unsystem.org/members/specialized-agencies

16 2012. ADB განსხვავებულად მუშაობს მყიფე და კონფლიქტურ სიტუაციებში: ADB-ის გამოცდილება. მანილა. https://www.adb.org/documents/working-diferly-fragile-and-conflict-affected-sected-situations-adbexperience

ე. შესყიდვის აგენტები

2.24 მაშინ, როდესაც მსესხებლები არ ფლობენ საჭირო ორგანიზაციულ უნარებს, რესურსებსა და გამოცდილებას, მათ შეუძლიათ, გამოხატონ სურვილი (ან მოთხოვნილ იქნას ADB-ს მიერ) შესყიდვების წარმოებაში სპეციალიზებული ფირმის საკუთარ წარმომადგენლად დანიშვნაზე. წარმომადგენელი ვალდებულია, დაიცვას დაფინანსების ხელშეკრულებითა და რეგულაციებით გათვალისწინებული შესყიდვის ყველა პროცედურა. ეს ასევე შეეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც გაეროს უწყებები მოქმედებენ შესყიდვების უწყებათა სახელით. მენეჯმენტის კონტრაგენტები შეიძლება ანალოგიურად დასაქმდნენ სხვადასხვა სამუშაოების შესახებ ხელშეკრულებათა დასადებად, რომლებიც მოიცავენ რეკონსტრუქციას, შეკეთებას, რეაბილიტაციასა და ახალ მშენებლობას საგანგებო სიტუაციებში; ან დიდი რაოდენობით მცირე ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.

ვ. მთავრობების დახმარება საჯარო-კერძო თანამშრომლობისთვის

2.25 თუ ADB უზრუნველყოფს მსესხებლის დაფინანსებას საჯარო–კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელისათვის, [17] შესაბამისი კონტრაქტორის შესარჩევი შესყიდვების პროცედურები:

(ა) უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ და კონკურენტულ გარემოში;

(ბ) მოიცვას რამდენიმე ეტაპი კრიტერიუმების ოპტიმალური კომბინაციის მისაღწევად, ყველაზე ეკონომიური და ეფექტიანი წინადადების შექმნის მიზნით, რომელიც ღირებულების ფასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს;

(გ) უნდა შეესაბამებოდეს ADB–ს შესყიდვების ძირითად პრინციპებს, 1.14-ე პარაგრაფში მოცემულ დასაშვებობის კრიტერიუმებს, 1.33-ე პარაგრაფში განსაზღვრულ მთლიანობის მოთხოვნებს, და

(დ) უნდა უზრუნველყოს რისკის შესაბამისი განაწილება.

---

[17] PPP არის გრძელვადიანი ხელშეკრულება კერძო პირსა და მსესხებელს შორის საზოგადოებრივი აქტივის ან მომსახურების მიწოდების შესახებ, რომელშიც კერძო მხარე მნიშვნელოვან რისკს ატარებს, ხოლო მართვის პასუხისმგებლობა და ანაზღაურება უკავშირდება შესრულებას. PPP პროექტები მოიცავს მშენებლობას საკუთარი ფუნქციონირებით (BOO), მშენებლობა-ექსპლუატაციაში გადაცემას (BOT), მშენებლობას საკუთარი ფუნქციონირება-გადაცემით (BOOT), კონცესიით ან მსგავსი შეთანხმებებით.

2.26 ADB–ს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია დათანხმდეს PPP–ს დაფინანსებაზე, რომელიც წარმოიშობა არასასურველი წინადადებიდან, იმ პირობით, რომ მსესხებლის მიერ მკაფიოდ იქნება განსაზღვრული და ADB–სთან შეთანხმებული მიზანშეწონილობა, ღირებულების ფასთან შესაბამისობის შეფასებისა და განსაზღვრის პროცესი.

ზ. მაღალი დონის ტექნოლოგიის შესყიდვა

2.27 მაღალი დონის ტექნოლოგიის შესყიდვა მოიცავს აღიარებულ ან მოწინავე ახალ ტექნოლოგიას, რომელიც აუმჯობესებს გაწეული მომსახურების ხარისხს.

2.28 შესასყიდი ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის ან მომსახურების ხარისხის მოთხოვნები ასეთ შემთხვევებში კრიტიკულია და შეიძლება აღემატებოდეს სატენდერო წინადადებების შეფასებას, რომელიც მხოლოდ დანახარჯებს ეფუძნება.

2.29 განსაკუთრებით რთული ან დახვეწილი ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის ან არასაკონსულტაციო მომსახურებისთვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შესყიდვის ალტერნატიული მეთოდები, როგორებიცაა ორ ეტაპიანი სატენდერო წინადადება ან არამატერიალური კრიტერიუმებისთვის უპირატესობის მიმნიჭებელი შეფასების კრიტერიუმები, მე-5 დანართში მოცემული ღირებულების ფასთან ოპტიმალური შესაბამისობისა და მიზანშეწონილობის უზრუნველყოფისთვის.

საკონსულტაციო მომსახურებისთვის აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს QCBS-ს მეთოდების მიხედვით ხარჯების კოეფიციენტების შესაბამისი შეწონვით, როგორც ეს მოცემულია მე- 5 დანართში, ან შეფასების სხვა მეთოდებით.

თ. შესყიდვები შესრულების მიხედვით

2.30 შესრულებაზე დაფუძნებული შესყიდვები,[18] ასევე მოხსენიებული, როგორც შედეგებზე დაფუძნებული შესყიდვები, გულისხმობს შესყიდვების კონკურენტულ პროცესებს, რომლებიც წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ამ უკანასკნელში გადახდები ხორციელდება სპეციფიკურ ან დისკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული შედეგების დასრულებისათვის, მოცემული შენატანების საფუძველზე განხორციელებული გადახდების ნაცვლად.

---

[18] ADB–ს მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესრულებაზე დაფუძნებული შესყიდვების გამოყენება უნდა იყოს სხვადასხვა არსებული ვარიანტის დამაკმაყოფილებელი ტექნიკური ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ან უნდა შედიოდეს შესყიდვების შესაბამის გეგმაში ან მის მიმართ წინასწარ განისაზღვროს ADB–ს მხრიდან წინააღმდეგობის არქონა.

2.31 ტექნიკური სპეციფიკაციები განსაზღვრავს სასურველ შედეგს და იმ შედეგებსა ან მისაღებ პროდუქტებს, რომელთა შესრულება შეფასდება და განხორციელდება შესაბამისი გადახდებით. ეს შედეგები მიზნად ისახავს ფუნქციური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხარისხის, რაოდენობისა და საიმედოობის თვალსაზრისით.

2.32 გადახდა ხორციელდება მიწოდებული პროდუქტის რაოდენობის მიხედვით, მოთხოვნილი ხარისხის დონეზე განხორციელებული მიწოდების შესაბამისად. გადასახადების შემცირება (ან შეფერხება) შეიძლება განხორციელდეს უფრო დაბალი ხარისხის პროდუქციისთვის და, გარკვეულ შემთხვევებში, პრემიების გადახდა შესაძლებელია უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტებისთვის.

2.33 სატენდერო დოკუმენტაცია, როგორც წესი, არ განსაზღვრავს შენატანებს და არც კონტრაგენტის ან მომსახურების მიმწოდებლის სამუშაო მეთოდებს. კონტრაგენტი ან მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია, წარმოადგინოს ყველაზე შესაფერისი გამოსავალი სასურველი შედეგის საფუძვლიან გააზრებაზე დაყრდნობით და აჩვენოს, რომ მიიღწევა სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ხარისხის დონე.

2.34 შესრულება ან შედეგზე დაფუძნებული შესყიდვები შეიძლება მოიცავდეს

(ა) შედეგების საფუძველზე გადასახდელი მომსახურების გაწევას;

(ბ) მსესხებლის მიერ ექსპლუატაციის ობიექტის პროექტირებას, მიწოდებას, მშენებლობას ან რეაბილიტაციას და ექსპლუატაციაში მიღებას; ან

(გ) ობიექტის დაპროექტებას, მომარაგებასა და მშენებლობას (ან რეაბილიტაციას) და ექსპლუატაციაში შესვლიდან განსაზღვრული წლების განმავლობაში მისი ექსპლუატაციისა და შენარჩუნებისთვის მომსახურების გაწევას.

2.35 იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა პროექტირება, მიწოდება და/ან მშენებლობა, როგორც წესი, საჭიროა პრე-კვალიფიკაცია და, ჩვეულებრივ, გამოიყენება ორსაფეხურიანი სატენდერო წინადადება.

ი. საზოგადოების მონაწილეობა შესყიდვებში

2.36 როდესაც პროექტის მდგრადობის ან პროექტის გარკვეული კონკრეტული სოციალური მიზნების მისაღწევად, პროექტის შერჩეული კომპონენტების მიხედვით, სასურველია მომსახურების მიწოდებაში ადგილობრივი თემების ან /და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა, მაშინ შესყიდვების პროცედურები,

სპეციფიკაციები და სახელშეკრულებო პირობები შესაბამისი უნდა იყოს ამ პირობების ასახვისთვის, და წარმოადგენდეს ეფექტიან და ღირებულების ფასთან შესაბამისობის დამაფუძნებელ საშუალებას.

კ. შესყიდვები აზიის განვითარების ბანკის მიერ გარანტირებული სესხებით

2.37 თუ სუვერენული გარანტიის პირობით, ADB უზრუნველყოფს გარანტიას სხვა კრედიტორის მიერ გაცემული სესხის დაფარვის შესახებ, ამ სესხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება შეისყიდება 1.4, 1.13, 1.14 და 1.33 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი 1

ღირებულების ფასთან შესაბამისობა

შესავალი

1. შესყიდვებში ღირებულების ფასთან შესაბამისობა არის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის შედეგი, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის არსებულ მდგომაროებაზე და შესყიდვების მიზნებზე.

2. ამ ანალიზში გასათვალისწინებელი ფაქტორები მრავალფეროვანია და შეიძლება კომპლექსური იყოს, რაც კრიტიკულს ხდის იმის უზრუნველყოფას, რომ შესყიდვების გეგმის მომზადების დროს გამოვლენილ იქნას განმსაზღვრელი ფაქტორები. ამ ფაქტორების გადახედვისა და შეფასების აუცილებლობა შეიძლება გამოვლინდეს შესყიდვის პროცესის ყველა ეტაპზე, ღირებულების ფასთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

ღირებულების ფასთან შესაბამისობის მიღწევა

3. რესურსების ეფექტიანი, ეფექტური და ეკონომიური გამოყენებით ღირებულების ფასთან შესაბამისობის მიღწევა მოითხოვს სათანადო ხარჯებისა და სარგებლის შეფასებას (დასახული მიზნების საფუძველზე), რისკისა და არამატერიალური მახასიათებლის ან/და სასიცოცხლო ციკლის ხარჯების შესაბამისად. მარტოოდენ ღირებულება შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს ღირებულების ფასთან შესაბამისობას.

4. ღირებულების ფასთან შესაბამისობა შეიძლება მიღწეულ იქნას:

(ა) შესყიდვების საჭიროებებისა და მიზნების მკაფიო აღწერილობის მეშვეობით, დასახული სოციალურ-ეკონომიკური ან ეკოლოგიური მიზნების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(ბ) შესყიდვის მეთოდი, რომელიც შესყიდვების რისკის, ღირებულების, კონტექსტისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროპორციულია, ე. ი. პროცესის მიზანშეწონილობის შესაფასებლად;

(გ) ტექნიკური მოთხოვნების ადეკვატური დაზუსტება და თვითღირებულებისა და ხარჯების გარეშე ელემენტები, რომელთა შეფასება უნდა მოხდეს წარმოდგენილი მოთხოვნების მისაღწევად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში სასიცოცხლო ციკლის საფუძველზე;

(დ) მიზნებისთვის შესაფერისი სახელშეკრულებო ფორმის შერჩევა;

(ე) შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროებებსა და მიზნებს შეესაბამება;

(ვ) პრეტენდენტის შერჩევა, რომლის წინადადება საუკეთესოდ აკმაყოფილებს საჭიროებებსა და მიზნებს; და

(ზ) ხელშეკრულების ეფექტიანი მენეჯმენტის განვითარება ხელშეკრულების წარმატებით განხორციელებისა და ხელშეკრულებით შეთანხმებული შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

5. სიცოცხლის ციკლის მიხედვით ხარჯვა, როგორც წესი, ღირებულების ფასთან შესაბამისობის შეფასების ფაქტორია.

ფასის ღირებულებასთან შესაბამისობის დაგეგმვა

6. შესყიდვების შესაბამისი გეგმის შემუშავება, რომელიც შესყიდვების საჭიროებებსა და მიზნებს განსაზღვრავს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფასის ღირებულებასთან შესაბამისობის მისაღწევად.

7. გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული ბაზარი და მისი შესაძლებლობები მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით. აღნიშნულს შედეგად უნდა მოჰყვეს მკაფიო და ფოკუსირებული ტექნიკური სპეციფიკაციები და მოთხოვნები (მიზნების დაბალანსება ბიუჯეტთან), შესყიდვის მეთოდების სათანადო არჩევანი (ხარჯების და რისკების გათვალისწინებით), რაც სასურველი შედეგების მისაღწევად ბაზარზე საუკეთესო რეაგირებასა და ხელშეკრულების ყველაზე მეტად შესაფერის ტიპს გულისხმობს.

8. შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს იმგვარად შემუშავებული, რომ მსესხებელმა მიაღწიოს ფასის ღირებულებასთან შესაბამისობას.

9. შესყიდვების საჭიროებებისა და მიზნების მისაღწევად აუცილებელი ხარჯებისა და არამატერიალური კრიტერიუმების გათვალისწინება. აღნიშნული მოიცავს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გათვალისწინებას, სოციალურ-ეკონომიკური ან ეკოლოგიური მიზნებისადმი რეაგირებას, მიზანთან შესაბამისობას, პრეტენდენტების გამოცდილებისა და შესრულების ისტორიის საფუძველზე სასურველი შედეგების მიღებასა და ხარჯების შეფასების მეთოდებს, როგორიცაა ხარჯვა სასიცოცხლო ციკლის მიხედვით (მათ შორის, საწყისი ფასი, საჭიროების შემთხვევაში, მოვლის, ექსპლუატაციის, ლიცენზირების ხარჯები, დამატებითი მახასიათებლები, სახარჯო მასალები, განკარგვა და ა.შ.).

10. სადაც ტექნიკური მოთხოვნების ხარისხის სტანდარტების დადგენა და გაზომვა შესაძლებელია ტექნიკური სპეციფიკაციების მითითებით ან კარგად დამკვიდრებული ინდუსტრიული სტანდარტებით, ფასის ღირებულებასთან შესაბამისობა მიიღწევა წარმოდგენილი მოთხოვნების არსებითად დამაკმაყოფილებელი საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შეფასების სისტემის გამოყენებით, ყველაზე დაბალი ფასის შემოთავაზების საფუძველზე. ეს შეეხება სტანდარტულ, წარმოებაში არსებულ საქონელსა და აღჭურვილობას, სტანდარტულ სამშენებლო და სხვა არასაკონსულტაციო მომსახურებას.

11. ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც ხარისხის შეფასება უნდა მოხდეს მიმწოდებლების შედარების საფუძველზე, კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და საქმიანობის შეფასების მიხედვით (მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურება ან შემთხვევები, როდესაც საჭიროა საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების ერთობლიობისგან შემდგარი, კომპლექსური გადაწყვეტილებები), ფასის ღირებულებასთან შესაბამისობა მიიღწევა შეფასების მეთოდების გამოყენებით, რაც იძლევა ფასსა და ხარისხს შორის მსესხებლის საჭიროებების შესაბამისად ბალანსის დადგენისა და პროექტის განვითარების მიზნების შეფასების საშუალებას. შესყიდვების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პოტენციურ რისკებს, აბალანსებდეს ეფექტიან კონკურენციას საჯარო რესურსების გამოყენებაში, უზრუნველყოფდეს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და რისკების მართვას.

დანართი 2
შესყიდვების დაგეგმვა

1. შესყიდვების გეგმა ემყარება მსესხებლის საჭიროებების და მიზნების სრულფასოვან შეფასებას და აღწერს ამ უკანასკნელთა ხელშემწყობ საპროექტო აქტივობებს.

2. შესყიდვების გეგმის მოცულობა და დეტალები ითვალისწინებენ შესაბამისი ბაზრის, მასშტაბის, რისკის, ღირებულებისა და ქვეყნის მახასიათებლებს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაუდებელი დახმარების საჭიროებების ან შესაძლებლობების შეზღუდვას და პროექტის კონკრეტული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნების პროპორციულია.

3. შესყიდვების გეგმა ასახულია:

(ა) კონკრეტულ ხელშეკრულებებში საქონლის, სამუშაოებისა ან/და მომსახურების შესახებ, რომლებიც საჭიროა პროექტის განხორციელებისას;

(ბ) ხელშეკრულებების დადების ნებადართული მეთოდები;

(გ) გამოსაყენებელი სატენდერო დოკუმენტაციის ტიპი; ADB–ს განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები და ხელშეკრულებით შემოთავაზებული ზედამხედველობის შეთანხმებები.

4. შესყიდვების გეგმის მომზადებისას, ძირითადად, განიხილება შემდეგი:

(ა) სტრატეგიული მიზნები:

(i) პროექტის განვითარების მიზნები,

(ii) საჭირო შედეგები,

(iii) შესრულების ღონისძიებები,

(iv) განმახორციელებელი უწყების შესაძლებლობები და რესურსები

(v) პროექტის რისკები.

(ბ) საქმიანობის კონტექსტი:

(i) მმართველობის ასპექტები (მყიფე ან კონფლიქტური სიტუაცია, სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში, საკანონმდებლო პროცესები და სამართლებრივი ჩარჩო)

(ii) ეკონომიკური ასპექტები (მცირე ეკონომიკა, ინფლაცია, შიდა პროტექციონიზმი და გაცვლითი კურსის ცვალებადობა),

(iii) მდგრადობის ასპექტები (კატასტროფა ან საგანგებო სიტუაცია, მდგრადობის მოთხოვნები) და

(iv) ტექნოლოგიური ასპექტები (ინფორმაციული ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება; ინტერნეტზე წვდომა და შეზღუდვები; მობილური ტელეფონების ხელმისაწვდომობა და დაფარვა).

(გ) ბაზრის კვლევა: შესაბამისი სექტორებისა და პოტენციური პრეტენდენტების ან/და კონსულტანტების შესახებ ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლა. როგორ მუშაობს ბაზარი და როგორ შეიძლება აღნიშნული აისახოს შესყიდვისთვის გამოსაყენებელ შესყიდვის მეთოდებზე. ბაზრის კვლევა აფასებს ისეთ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს პროექტის რისკებსა და შედეგებზე.

(დ) რისკების მართვა: მოიცავს ყველა მნიშვნელოვან რისკს, რომლებიც დაკავშირებულია საოპერაციო გარემოსთან, ბაზრის პირობებთან, შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შესაძლებლობებთან. შესყიდვების რისკები და შესყიდვების პროცესის მეშვეობით გამოვლენილი შესაძლებლობები, მათ შორის, შესყიდვების დიზაინი, ტექნიკური მახასიათებლები, ხელშეკრულების პირობები, შეფასების კრიტერიუმები და ხელშეკრულების მართვა.

---

[1]ADB მხარს არ უჭერს სახელშეკრულებო პაკეტების დაყოფას მარტოოდენ უცხოელი პრეტენდენტების გამოკლების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების გეგმით შემოთავაზებულია ხელშეკრულების გაყოფა, აღნიშნული გამართლებული უნდა იყოს ბაზრის შესაბამისი შეფასებით, რომელიც ადასტურებს უცხოელი პრეტენდენტების მხრიდან ინტერესის არარსებობას ან მის ზღვრულ ხასიათს.

(ე) შესყიდვის ღონისძიებები: შესყიდვის მეთოდების, კვალიფიკაციის, შეფასების კრიტერიუმებისა და ხელშეკრულების სტრატეგიის შედგენა (ხელშეკრულების შედგენა, კონტრაქტის ტიპები, ძირითადი სახელშეკრულებო დებულებები, მიწოდებისა და გადახდის ძირითადი ეტაპები) თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთების ჩათვლით; და ძირითადი სპეციფიკაციებისა და ხარისხის მოთხოვნების ასახვა.

5. შესაფერისი შესყიდვის მეთოდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

(ა) პროექტის კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრა;

(ბ) შესყიდვებზე ბაზრის რეაგირების ადეკვატურობის, ქცევისა და შესაძლებლობების შეფასება;

(გ) განმახორციელებელი უწყების რესურსების შეფასება და ამ ტიპის საქმიანობის შესყიდვის წინა გამოცდილება;

(დ) შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთება, მათ შორის, შესყიდვების მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი; და

(ე) შეფასების მეთოდების დასაბუთება ბაზრის ანალიზის, რისკის, ქვეყნის მახასიათებლებისა და პროექტის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

6. მსესხებელი პროექტის მომზადების ფარგლებში ამზადებს და ADB-ს აწვდის შესყიდვების გეგმას, რომელსაც ADB შეუთანხმებს სესხის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდე. მსესხებელი განაახლებს შესყიდვების გეგმას ყოველწლიურად ან, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მსესხებლის მიერ შესყიდვების გეგმაში ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება ADB-ს თანხმობას.

7. პოტენციური პრეტენდენტებისათვის ადრეული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ADB საჯაროდ აქვეყნებს შესყიდვების ყველა თავდაპირველ გეგმას (და შემდგომ ნებისმიერ განახლებას), რომელიც მიუთითებს შესყიდვების ზოგად მასშტაბსა და ღირებულებას მომდევნო წლის განმავლობაში.

დანართი 3

ღია კონკურენტული სატენდერო პროცედურა

1. მე-4 დანართში მოცემული ნებისმიერი განსხვავების გათვალისწინებით საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, ამ დანართის დებულებები ვრცელდება საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვაზე.

ხელშეკრულებების ტიპი და ზომა

2. სატენდერო დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს დადებული ხელშეკრულების ტიპი და შეიცავდეს შემოთავაზებულ სახელშეკრულებო დებულებებს (მუხლებს). ხელშეკრულების ტიპები და შეთანხმებები შეირჩევა მათი მიზანშეწონილობის, შესყიდვის საგნისა და რისკის გათვალისწინებით, ღირებულების ფასთან შესაბამისობის მისაღწევად. ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებული ტიპები ითვალისწინებს გადასახადებს ერთჯერადი თანხის, დროის, ერთიანი ფასების ან მათი ერთობლიობის საფუძველზე.

3. პროექტისთვის, რომელიც მოითხოვს საკონსულტაციო მომსახურების, აღჭურვილობის ან სამუშაოების მსგავს თუმცა ცალკეული პუნქტების მიხედვით განსხვავებულ შესყიდვებს, წინადადებები შეიძლება წარდგენილ იქნას ალტერნატიული ხელშეკრულების პირობებით, რაც მოიზიდავს როგორც მცირე, ისე მსხვილი ფირმების ინტერესს. ასეთ შემთხვევებში, ფირმებს საშუალება მიეცემათ, თავიანთი სურვილისამებრ, წინადადებები განაცხადონ ინდივიდუალური ხელშეკრულებებზე (სრულად ან ნაწილობრივ) ან მსგავს ხელშეკრულებათა ჯგუფზე (პაკეტი). ყველა წინადადება და წინადადებათა კომბინაცია მიიღება ერთსა და იმავე ვადაში და შეფასდება ერთდროულად, რათა განისაზღვროს ისეთი სატენდერო წინადადებები ან შეთავაზებების ერთობლიობა, რომლებითაც შემოთავაზებულია ღირებულების ფასთან ოპტიმალური შესაბამისობა.

4. გარკვეულ შემთხვევებში, ADB–მ შეიძლება მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, დაპროექტება და საინჟინრო ნაწილი, აღჭურვილობის მიწოდება და მონტაჟი და სრული ობიექტის ან სამუშაოების მშენებლობა გათვალისწინებულია ცალმხრივი პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით. გარდა ამისა, მსესხებელი შეიძლება პასუხისმგებელი დარჩეს

დიზაინსა და პროექტირებაზე და მოიწვიოს სატენდერო წინადადებები პროექტის კომპონენტისთვის საჭირო საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ. დიზაინი და მშენებლობა, მართვის ხელშეკრულებები,[1] და შესადარებელი სამართლებრივი ხელშეკრულებები, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მისაღებია.

ორეტაპიანი სატენდერო წინადადება

5. დიზაინი და მშენებლობის ხელშეკრულებების, დიდი კომპლექსური ობიექტების, სამუშაოების, სპეციალური ხასიათის არასაკონსულტაციო მომსახურებების ან კომპლექსური ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელშეკრულებების შემთხვევაში, სრული ტექნიკური სპეციფიკაციების წინასწარ მომზადება შესაძლოა არასასურველი ან არაპრაქტიკული იყოს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ორ ეტაპიანი სატენდერო პროცედურა, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში მოწვეულია ფასდაკლებული ტექნიკური წინადადებები. აღნიშნული მომზადებულია კონცეპტუალური დიზაინის ან შესრულების სპეციფიკაციის საფუძველზე და ექვემდებარება როგორც ტექნიკურ, ასევე კომერციულ განმარტებებსა და კორექტირებას.

6. პირველ ეტაპზე ტექნიკური წინადადების განმარტებას უნდა მოჰყვეს შესწორებული სატენდერო დოკუმენტაციის[2] ან/და ცვლილებების მემორანდუმის მოთხოვნა პირველ ეტაპზე შეთავაზებულ წინადადებებზე, ხოლო მეორე ეტაპზე საბოლოო ტექნიკური წინადადებებისა და ფასების შეთავაზებების წარდგენა.

7. პირველ ეტაპზე ტექნიკურ წინადადებებს, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა თან ახლდეს დალუქული ფინანსური წინადადება. ტექნიკური სპეციფიკაციების დასრულების შემდეგ, შესწორებულ ტექნიკურ წინადადებებს თან უნდა ახლდეს შესწორებული ფინანსური წინადადება.

---

[1] როგორც წესი, მშენებლობაში მენეჯმენტის კონტრაქტორი უშუალოდ არ ასრულებს სამუშაოებს, მაგრამ აფორმებს და მართავს სხვა კონტრაქტორების მუშაობას, ხარისხსა და დროულად შესრულებაზე სრული პასუხისმგებლობითა და რისკის ფასად. და პირიქით, მშენებლობის მენეჯერი არის მსესხებლის კონსულტანტი ან წარმომადგენელი, მაგრამ საკუთარ თავზე არ იღებს ზემოხსენებულ რისკებს.

[2] მეორე ეტაპზე სატენდერო დოკუმენტაციის გადახედვისას, მსესხებელმა უნდა დაიცვას პრეტენდენტთა პირველ ეტაპზე გამოყენებული ტექნიკური წინადადებების კონფიდენციალურობა, გამჭვირვალობის მოთხოვნებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვით.

ორ კონვერტიანი სატენდერო წინადადება

8. ორი კონვერტის პროცედურის საფუძველზე, რომელიც, როგორც წესი, ერთეტაპიანი სატენდერო პროცესის კონტექსტში გამოიყენება, წინადადებები წარმოდგენილია ერთდროულად ორ ცალკეულ კონვერტში - ერთი შეიცავს ტექნიკურ, ხოლო მეორე - ფინანსურ წინადადებას.

9. პრეტენდენტთა ფინანსური წინადადებები, რომელთა ტექნიკური წინადადებები პასუხგაუცემელია, გაუხსნელად ბრუნდება უკან.

შეტყობინება და ინფორმაციის გავრცელება

10. სატენდერო შესაძლებლობების დროული შეტყობინება აუცილებელია კონკურენტულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რამეთუ აღნიშნული პრეტენდენტებს საკმარისი დროით უზრუნველყოფს თავიანთი წინადადებების მოსამზადებლად და წარსადგენად. ინფორმაციის გავრცელება შეიძლება საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე შემდეგნაირად განხორციელდეს:

ა) მაშინ, როდესაც ინფორმაციის საერთაშორისო გავრცელება შესაფერისი ან საჭიროა, პრე-საკვალიფიკაციო ან სატენდერო მოსაწვევები გამოქვეყნდება როგორც ADB–ს ვებგვერდზე[3], აგრეთვე

- ღია და საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე ინგლისურად;
- ეროვნული ტირაჟის გაზეთში (მინიმუმ ერთ ინგლისურენოვან გაზეთში, თუ ეს შესაძლებელია) ან ვებგვერდზე მსესხებლის ქვეყანაში.

ბ) საკონკურსო წინადადებების მოსაწვევის ასლი წარედგინება ADB–ს დასამტკიცებლად და ADB–ს ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად, დაფინანსების ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. წინასწარი შერჩევის ან სატენდერო წინადადებების მოსაწვევი ქვეყნდება მხოლოდ ნაციონალურ პრესაში, ოფიციალურ გაზეთში ან თავისუფალ და საჯაროდ მისაწვდომ ვებგვერდზე, როდესაც შესყიდვების ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, უცხოური კონკურენციის მოზიდვა არ არის სავარაუდო რადგან:

[3] **ADB. www.adb.org**

(i) მცირეა კონტრაქტის ღირებულება;

(ii) სამუშაოები გეოგრაფიულად არის მიმოფანტული ან დროში გაწელილია;

(iii) სამუშაოები შრომატევადია;

(iv) საქონელი, სამუშაოები ან მომსახურება ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო ბაზრის ფასებთან შედარებით დაბალ ფასებში.

11. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მსესხებლის (ან სავარაუდო მსესხებლის) შესახებ, სესხის ოდენობასა და მიზანს, შესყიდვების მოცულობას ღია კონკურენციის საფუძველზე, მსესხებლის სახელს, ტელეფონს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, შესყიდვაზე პასუხისმგებელი უწყების მისამართსა და/ან ვებგვერდს, რომლითაც შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის მიღება. პრე-საკვალიფიკაციო ან სატენდერო წინადადებების დამადასტურებელი დოკუმენტები, გარემოებათა შესაბამისად, საზოგადოებისთვის არ უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღზე ადრე.

პრეტენდენტების პრე-კვალიფიკაცია

12. წინასწარი კვალიფიკაცია[4] არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, იმას რომ წინადადებები წარადგინონ მხოლოდ იმათ, ვისაც აღნიშნულისათვის გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები და რესურსები.

13. აღნიშნული შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა შესყიდვისთვის, თუმცა ტერმინოლოგია შეიძლება შეიცვალოს მოცემული შესყიდვის ხასიათიდან გამომდინარე. საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, იგი მოიხსენიება, როგორც პრე-კვალიფიკაცია. აღნიშნული, საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, ზოგადად, მოიხსენიება, როგორც მოკლე ჩამონათვალი, ხოლო მოკლე ჩამონათვალში შესული განაცხადები - როგორც ინტერესის გამოხატვა. მიუხედავად ამისა, პროცესი და მნიშვნელობა იდენტურია.

14. პრე-კვალიფიკაცია, როგორც წესი, რეკომენდებულია:

ა) საკონსულტაციო მომსახურებისთვის;

ბ) დიდი ან რთული სამუშაოებისთვის;

4 წინასწარი კვალიფიკაცია მოიცავს საკონსულტაციო მომსახურების კონტექსტში კომპანიათა მოკლე სიის შედგენას.

გ) ნებისმიერი სხვა გარემოებისთვის, რომელშიც დეტალური სატენდერო წინადადებების მომზადების მაღალი ხარჯები ხელს უშლის კონკურენციას.[5]

15. პრე-კვალიფიკაცია ემყარება როგორც სავარაუდო პრეტენდენტების შესაძლებლობებსა და რესურსებს, დამაკმაყოფილებლად შეასრულონ კონკრეტული ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევაში:

ა) მსგავს ხელშეკრულებებზე მუშაობით მიღებული გამოცდილებას და წარსული შესრულების გათვალისწინებით;

ბ) აგრეთვე შესაძლებლობებს ხელშეკრულების საგანთან [6] მიმართებით;

გ) და ფინანსურ პოზიციას.

16. პრე-საკვალიფიკაციო მოთხოვნები პოტენციური პრეტენდენტებისა და კონსულტანტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ობიექტურად, გამჭვირვალედ და გამოქვეყნდეს საჭიროების შემთხვევაში.

17. პოტენციურ განმცხადებლებს უნდა მიეცეთ საკმარისი ვადა პრე-საკვალიფიკაციო განაცხადების (ან საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში ინტერესის გამოხატვის) წარსადგენად, რათა ჰქონდეთ საკმარისი დრო განაცხადების განხილვისა და მოსამზადებლად. კონკურენციის წახალისების მიზნით, ყველა, ვისაც შეუძლია სამუშაოს დამაკმაყოფილებლად შესრულება, პრე-საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესაბამისად, მოწვეულ უნდა იქნას განაცხადის წარსადგენად.

18. ADB რეკომენდაციას არ უწევს დიდ პერიოდს პრე-კვალიფიკაციის დასრულებასა და სატენდერო პროცესის დაწყებას შორის, და, შესაბამისად, ხელს უწყობს პრე-კვალიფიკაციის მქონე პრეტენდენტებისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გაცემას პრე-კვალიფიკაციის დასრულების შემდგომ.

---

5 როგორიცაა დიზიან-სპეციფიკური მოწყობილობა, სამრეწველო ქარხანა, სპეციალიზებული მომსახურება, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რამდენიმე რთული ხელშეკრულება და ხელშეკრულებები, რომლებიც ანაზღაურდება დიზაინისა და მშენებლობის ან მენეჯმენტის ხელშეკრულებების ტიპური მიდგომების შესაბამისად.

6 აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს: (i) სამშენებლო ან საწარმოო ობიექტებს საქონლისა და სამუშაოების შემთხვევაში; (ii) მსგავსი რეგიონალური ან ქვეყნის მახასიათებლები; და (iii) აღნიშნულთან დაკავშირებული სექტორის გამოცდილებასა და წარსულ საქმიანობას საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში.

19. მსესხებელს შეუძლია გადაწყვიტოს პრე-კვალიფიკაციისთვის კომპანიების რაოდენობის შეზღუდვა, პრე-საკვალიფიკაციო დოკუმენტებში ნათლად მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე, რამეთუ აღნიშნულით არ იზღუდება სამართლიანი კონკურენცია.

20. გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრე-კვალიფიკაციის საფუძველზე გაცემული ხელშეკრულებათა ჯგუფისათვის, შესაძლოა დაწესდეს ხელშეკრულებათა რაოდენობისა ან ღირებულების მიხედვით შეზღუდვა ერთი პრე-კვალიფიციური მიმოწდებლისათვის ტექნიკური და ფინანსური რესურსების ადეკვატურობის საფუძველზე, მათ მიერ ხელშეკრულებების დამაკმაყოფილებლად შესრულების მიზნით. ასეთ შემთხვევებში, პრე-კვალიფიკაციის მქონე კომპანიების სია პერიოდულად უნდა განახლდეს მისი მიმდინარე მდგომარეობასთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით. ADB ასევე რეკომენდაციას უწევს ხელშეკრულების გაცემის მომენტში პრე-კვალიფიკაციის მისაღებად წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმებას. ხელშეკრულების მინიჭებაზე შეიძლება უარი განუცხადონ იმ პრეტენდენტს, რომელსაც აღარ აქვს შესაძლებლობა ან რესურსი ხელშეკრულების წარმატებით შესრულებისთვის.

ერთობლივი საწარმოები

21. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ტენდერში მონაწილეობა მიიღოს დამოუკიდებლად ან ერთობლივ საწარმოში მონაწილეობით, ერთზე მეტი ვალდებულების აღებით, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ფირმებთან.[7] როგორც წესი, ღია კონკურენციის ხელშესაწყობად, ADB არ იღებს ისეთ სატენდერო წინადადებებს, რომლებიც მოითხოვს სავალდებულო ერთობლივ საწარმოს ან ფირმათა სავალდებულო გაერთიანების არსებობას სხვა ფორმით.

---

7 კონკრეტულ გარემოებებში, კომპანიას შეუძლია, წინადადება წარმოადგინოს დამოუკიდებლად, თუმცა კონკრეტული ამოცანების განხორციელების მიზნით გაითვალისწინოს ქვე-კონტრაქტორები (საქონლისა და სამუშაოებისთვის) ან ასოცირებული ქვე-კონსულტანტები (საკონსულტაციო მომსახურებისთვის).

სტენდერო დოკუმენტაცია

22. აუცილებელია, რომ სატენდერო დოკუმენტაციამ მოიცვას ყველა ინფორმაცია, რომელიც პრეტენდენტებისთვის საჭიროა საპასუხო წინადადების მოსამზადებლად. აღნიშნული დოკუმენტაციის დეტალები და სირთულე განსხვავდება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების სახეობიდან და ხელშეკრულების ზომიდან გამომდინარე.

23. ტერმინი სტანდარტული სატენდერო დოკუმენტი (SBD) გამოიყენება შესყიდვის ყველა მეთოდის სტანდარტიზებულ დოკუმენტებთან მიმართებაში და გამოიყენება თანმიმდევრულობისა და იურიდიული გარანტირების უზრუნველყოფის მიზნით. შესყიდვების გეგმის შესაბამისად, მსესხებლები იყენებენ შესაბამის SBD-ს, თუ ასეთი SBD გამოცემულია ADB-ს მიერ. თუ ADB–ს მიერ არ არის გამოცემული შესაბამისი SBD, მსესხებელს შეუძლია გამოიყენოს სხვა საერთაშორისო ან ქვეყნის მასშტაბით აღიარებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და ხელშეკრულების ფორმები, თუ ისინი შესაბამისობაში არიან წინამდებარე რეგულაციებთან.

24. SBD–ები ასახავენ შესყიდვების ხასიათს. მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, სატენდერო მოსაწვევი მოიხსენიება, როგორც წინადადების მოთხოვნა.

25. ADB ურჩევს მსესხებლებს, სატენდერო დოკუმენტაციის გასავრცელებლად გამოიყენონ ელექტრონული სისტემა.

შეთავაზებების მოქმედების ვადა და გარანტია

26. პრეტენდენტები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პერიოდის განმავლობაში მოქმედი შეთავაზებები, რომლებიც საკმარისია იმისთვის, მსესხებელმა დაასრულოს შეთავაზებათა შედარება და შეფასება, ADB–სთან განიხილოს მინიჭების რეკომენდაცია (წინასწარი განხილვის საჭიროების შემთხვევაში) და მოიპოვოს ყველა აუცილებელი თანხმობა და/ან ნებართვა ხელშეკრულების განსაზღვრულ ვადაში დასადებად.

27. საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების სხვა ხელშეკრულებების შემთხვევაში, გარდა საკონსულტაციო

მომსახურებისა, მსესხებლები სარგებლობენ შეთავაზებების გარანტიის მოთხოვნის უფლებით. შეთავაზების საგარანტიო თანხა გამოიყენება სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმითა და ოდენობით. სატენდერო შეთავაზების გარანტია ძალაშია სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პერიოდის განმავლობაში. გამარჯვებული პრეტენდენტისათვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შეთავაზების გარანტია უბრუნდებათ წარუმატებელ პრეტენდენტებს.

28. მსესხებელს შეუძლია, შეთავაზების გარანტიის ნაცვლად, მოსთხოვოს პრეტენდენტებს შეთავაზებების გარანტიის დეკლარაციაზე ხელის მოწერა და თანხმობა იმაზე, რომ შეთავაზებათა მოქმედების პერიოდში ამ უკანასკნელის უკან გაწვევა ან შეცვლა არ მოხდება. აღნიშნული პერიოდი გრძელდება ხელშეკრულების მინიჭების შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადამდე ხელის მოწერის შეუძლებლობისა ან შესრულების გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პრეტენდენტს გარკვეული ვადით შეუჩერდება მსესხებელთან ნებისმიერ ხელშეკრულებაზე შეთავაზების წარმოდგენის უფლებამოსილება.

ენა

29. თუ ADB–სთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული, წინადადება და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე.

სატენდერო დოკუმენტაციის სიცხადე

30. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული ღია კონკურენციის დაშვებისა და წახალისების მიზნით და ერთმნიშვნელოვნად და ზუსტად წარმოადგენდეს მსესხებლის მოთხოვნებს.

31. იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზებათა შეფასებისას, ფასის გარდა, მხედველობაში მიიღება სხვა ფაქტორებიც, სატენდერო დოკუმენტებში უნდა განთავსდეს მოცემული ფაქტორები და განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება მათი რაოდენობრივი განსაზღვრა ან სხვაგვარად შეფასება, რათა პრეტენდენტებს ეცნობოთ შეფასების მეთოდი.

32. თუ ნებადართულია შეთავაზებების წარმოდგენა ალტერნატიული დიზაინის, მასალების, დასრულების გრაფიკის, გადახდის პირობების და ა.შ. შესახებ, მათი მიღებისა

და შეფასების მეთოდებზე ღიად უნდა იქნას მითითებული.

33. სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ყველა სავარაუდო პრეტენდენტს ვადის დაცვით, ერთდროულად უნდა მიეწოდოთ ერთი და იგივე ინფორმაცია და მიეცეთ პროექტის ვებ-გვერდებზე გონივრული წვდომა.

34. სამუშაოების, კომპლექსური მიწოდების ან მომსახურების ხელშეკრულებებისთვის, შესაძლებელია წინასწარი საკონფერენციო შეხვედრის ჩატარება პოტენციური პრეტენდენტებისა და მსესხებლის წარმომადგენელთა შეხვედრის მიზნით, განმარტებების გასაკეთებლად (პირადად ან ინტერნეტით). შეხვედრის ოქმები გადაეცემა ყველა სავარაუდო პრეტენდენტს, ხოლო ასლი გადაეცემა ADB-ს.

35. თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, დაზუსტება, შეცდომების გასწორება ან სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილება უნდა გადაეგზავნოს ორიგინალი სატენდერო დოკუმენტაციის თითოეულ ადრესატს წინადადებების მიღების ვადის გასვლამდე საკმარის ვადაში, რათა პრეტენდენტებმა შეძლონ შესაბამისი ზომების მიღება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ვადის გახანგრძლივება.

ხარისხის განსაზღვრა

36. სატენდერო დოკუმენტაცია ადეკვატურად უნდა განსაზღვრავდეს მსესხებლის მოთხოვნებს შესასრულებელი სამუშაოს, სამუშაოს ადგილმდებარეობის, მიწოდებული საქონლის, მიწოდების ან მონტაჟის ადგილის, ჩასატარებელი მომსახურების, მიწოდების დროისა ან შესრულების, მინიმალური შესრულებისა და საგარანტიო და ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა შესაბამის წესებისა და პირობის მითითებით.

37. მსესხებლის ტექნიკური და ხარისხის მოთხოვნები სატენდერო დოკუმენტაციაში ყალიბდება მკაფიო და მსესხებლის საჭიროებების სრულად ამსახველი განცხადების საფუძველზე. მოთხოვნებში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი საქონლის ან/და მომსახურების ხასიათი და მოცულობა, რომლებიც საჭიროა ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და განსაზღვრავს ნებისმიერი ხარისხის ან სხვა სტანდარტების დაცვას.

38. მსესხებლის მოთხოვნები, როგორც წესი, ფორმულირდება შესრულების ან ფუნქციური მოთხოვნების შესაბამისად ან ტექნიკური სპეციფიკაციების და ინდუსტრიული სტანდარტების მითითებით.

39. საჭიროების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაცია ადგენს

ტესტებს, სტანდარტებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მიწოდებული აღჭურვილობის, შესრულებული სამუშაოების ან მომსახურების შესაბამისობის განსასაზღვრად, სპეციფიკაციების მითითებით.

40. საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, მოთხოვნები დადგინდება ტექნიკური პირობებით, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ მიზნებს, დავალების ფარგლებსა და დამატებით ინფორმაციას.

41. რაც შეიძლება ფართო კონკურენციის ხელშესაწყობად, შესყიდვის პროცესში მყოფი საქონლის ან/და სამუშაოების კრიტიკული შესრულების ან სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სატენდერო დოკუმენტებში მითითებული სტანდარტები და ტექნიკური სპეციფიკაციები, შეძლებისდაგვარად, უნდა განისაზღვროს ისეთი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორიცაა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცემული სტანდარტები. თუ მსგავსი საერთაშორისო სტანდარტები მიუწვდომელია, შესაძლებელია ეროვნული სტანდარტების მითითება. ყველა შემთხვევაში, მისაღებია ეკვივალენტური სტანდარტები.

ბრენდის დასახელების გამოყენება

42. დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, დაუშვებელია მითითება ბრენდის დასახელებაზე, კატალოგის ნომრებზე ან მსგავს კლასიფიკაციაზე. ამასთან, თუ აუცილებელია კონკრეტული მწარმოებლის ბრენდის ან კატალოგის ნომრის ციტირება სხვაგვარად არასრული სპეციფიკაციის გასარკვევად, ამგვარი მითითების შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვები "ან ეკვივალენტი".

43. სპეციფიკაციით დაშვებულ უნდა იქნას წინადადებების მიღება საქონელზე, რომელსაც აქვს მსგავსი მახასიათებლები და უზრუნველყოფილ იქნას მითითებულის არსებითად ეკვივალენტი შესრულება.

საქონლისა და სამუშაოების ფასი

44. საქონელზე შეთავაზებები მოთხოვნილ უნდა იქნას ხარჯების საფუძველზე, დაზღვევა და ფრახტის (CIF), ან დანიშნულების ადგილზე დაზღვევის საფუძველზე (CIP) როგორც საზღვარგარეთიდან შემოთავაზებული, აგრეთვე ქარხნიდან მიწოდების (EXW)[8] ადგილობრივად ხელმისაწვდომი, წარმოებული ან აწყობილი, მათ შორის, ადრე იმპორტირებული საქონლისთვის. მაშინ, როდესაც მოთხოვნილია შიდა ტრანსპორტირების, მონტაჟის,

ექსპლუატაციაში გაშვებისა ან სხვა მსგავსი მომსახურების შესრულება, პრეტენდენტს მოეთხოვება წარმოდგენილი მომსახურებისთვის ცალკე ფასების მითითება, ისევე, როგორც მომარაგებისა და ინსტალაციის ხელშეკრულებების შემთხვევაში.

45. დიზაინისა და მშენებლობის ხელშეკრულების შემთხვევაში, პრეტენდენტს მოეთხოვება, ადგილზე დაადგინოს დამონტაჟებული ქარხნის ფასი, აღჭურვილობის მიწოდების, საზღვაო და ადგილობრივი ტრანსპორტირებისა და დაზღვევის, მონტაჟისა და ექსპლუატაციაში მოყვანის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა სხვა მომსახურების ხარჯების ჩათვლით, როგორიცაა დიზაინი, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია.

46. ჩვეულებრივ, სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულებებისთვის პრეტენდენტები ვალდებულნი არიან, სამუშაოს შესრულებისათვის წარმოადგინონ ერთეული ან ჯამური ფასები, რომლებშიც შედის ყველა მოსაკრებელი, ბაჟი და სხვა გადასახადები.

---

8 იხილეთ საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოქვეყნებული Incoterms– ის მოქმედი ვერსია, 38 Cours Albert 1er, პარიზი, საფრანგეთი, 75008.

9 პროექტის ხარჯებთან დაკავშირებული გადასახადებისა და მოსაკრებლების ხარჯები დაშვებულია ADB–ს დაფინანსებისთვის, თუ დასაფინანსებელი თანხები გონივრულია, იმ პირობით, რომ შესაბამისი ქვეყნის საგადასახადო რეჟიმი შეფასდება, როგორც საკმარისად გამჭვირვალე, კონკურენციის ნეიტრალიტეტითა და მდგრადობით.ADB.2005. ხარჯების დაზოგვა და მონაწილეობის უფლება აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებისთვის. ახალი მიდგომა. მანილა. https: //www.adb.org/documents/cost-sharing-and-eligibility-expenditures-asian-development-bank- financing-new-approach

ფასის კორექტირება

47. სატენდერო დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული, დაშვებულია თუ არა ფასის კორექტირება ინფლაციის შემთხვევაში, ან ცვლილებები, რომლებიც ხდება ხელშეკრულების ძირითადი ღირებულების კომპონენტებში. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს შრომითი რესურსი, მოწყობილობა და მასალები, რომლებიც კონტრაქტორის კონტროლს მიღმაა. ფასის კორექტირების ოდენობა უნდა ეფუძნებოდეს ხელშეკრულების ძირითადი კომპონენტების ღირებულების ცვლილებებს. გამოყენების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს გამოსაყენებელი

კორექტირების ფორმულასა ან ფორმულებს. სატენდერო ფასების შედარება ხორციელდება მხოლოდ საბაზო ფასის საფუძველზე.

ტრანსპორტირება და დაზღვევა

48. სატენდერო დოკუმენტაცია საშუალებას აძლევს მომწოდებლებსა და კონტრაქტორებს, განახორციელოს ტრანსპორტირება და დაზღვევა ნებისმიერი დასაშვები წყაროდან. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ მოსაწოდებელი დაზღვევის სახეები და პირობები.

პროფესიული პასუხისმგებლობა

49. მომსახურების მიმწოდებლების მიმართ არსებობს დავალებების გულდასმითა და პროფესიაში მიღებული სტანდარტების შესაბამისად შესრულების მოლოდინი. თუ მხარეები ცდილობენ ამ პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით შეზღუდვას, მათ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული შეზღუდვის არარსებობა

ა) მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან დაუდევრობისა ან არასათანადო საქციელის შემთხვევაში;

ბ) მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მსესხებლის მიმართ არ შეიძლება შემოიფარგლოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების გამრავლებით, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში და ხელშეკრულების სპეციალურ პირობებში (ამ შეზღუდვის ოდენობა დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე);

გ) ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა შეიძლება შეეხოს მხოლოდ მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას კლიენტის მიმართ და არა მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას მესამე მხარის მიმართ.

სავალუტო დათქმა

50. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია ვალუტა ან ვალუტები, რომელშიც პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ფასები, აგრეთვე სხვადასხვა ვალუტაში გამოხატული ფასების ერთ ვალუტაში კონვერტირების

პროცედურა შეთავაზებების შედარების მიზნით, და ვალუტები, რომელშიც გადაიხდება ხელშეკრულების ფასი.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები

51. სატენდერო დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, თუ როდის აქვთ პრეტენდენტებს ალტერნატიული შეთავაზებების წარდგენის უფლება, როგორ უნდა წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები, როგორ უნდა იქნას შემოთავაზებული წინადადებების ფასები და რის საფუძველზე უნდა შეფასდეს ალტერნატიული წინადადებები.

ხელშეკრულების პირობები

52. ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; მისაწოდებელი საქონელი; ჩასატარებელი მომსახურება; მსესხებლის და მიმწოდებლის, კონტრაქტორის ან მომსახურების მიმწოდებლის უფლებები და მოვალეობები; ინჟინრის, არქიტექტორის ან მშენებლობის მენეჯერის ფუნქციები და უფლებამოსილება, თუ იგი დასაქმებულია მსესხებლის მიერ, ხელშეკრულების ზედამხედველობასა და ადმინისტრირებისთვის.

53. ხელშეკრულების ზოგადი პირობების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ნებისმიერი სპეციალური პირობა, განსაკუთრებით კონკრეტული საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების შესასყიდად და პროექტის ადგილმდებარეობის შესახებ. ხელშეკრულების პირობები უზრუნველყოფს რისკების და ვალდებულებების დაბალანსებულ განაწილებას.

ხელშეკრულების მენეჯმენტი

54. ხელშეკრულების მენეჯმენტის მიზანია[10] უზრუნველყოს ყველა მხარის მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულება. მსესხებელმა (შესაბამისი შემსრულებელი უწყების საშუალებით) აქტიურად უნდა მართოს ხელშეკრულებები მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს კონტრაქტორის საქმიანობის დამაკმაყოფილებელი დონე, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და ხელშეკრულების ყველა მოთხოვნის შესრულება.

ხელშეკრულების შესრულების გარანტია

55. საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებების შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით უნდა დადგინდეს მოთხოვნები შესრულების უზრუნველყოფის მიმართ.

დებულებები ზიანის ანაზღაურებისა და ბონუსის შესახებ

56. წინასწარ შეფასებული ზარალის ანაზღაურება ან მსგავსი ანაზღაურება სათანადო ოდენობით შეტანილი უნდა იყოს ხელშეკრულების პირობებში საქონლის მიწოდების შეფერხებისას, საკონსულტაციო მომსახურების გარდა სხვა სამუშაოების ან მომსახურების შესრულებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის ან სამუშაოების შესრულების მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს, შემოსავლისა ან მსესხებლის სხვა სარგებლის დაკარგვას.

---

10 დანართი 8, პუნქტი 3.

57. ასევე შეიძლება ჩაიწეროს მუხლი მომწოდებლების, კონტრაქტორების ან მომსახურების მიმწოდებლებისთვის სამუშაოების ან მომსახურების დასრულების ან საქონლის მიწოდების პრემიის შესახებ, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებზე ადრე დასრულებისათვის, როდესაც ასეთი ადრეული დასრულება ან ჩაბარება სარგებელს მოუტანს მსესხებელს.

ფორს მაჟორი

58. ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება შეუსრულებლობად, თუ ასეთი წარუმატებლობა, ხელშეკრულების პირობებში განსაზღვრული, ფორსმაჟორული მოვლენის შედეგია.

მოქმედი კანონი და დავების განხილვა

59. ხელშეკრულების პირობები უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც ეხება მოქმედ კანონსა და დავების მოგვარების ფორმას.

ADB–ი უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს საქონლის, სამუშაოების, მომსახურებისა და სხვა სახის შესყიდვების ხელშეკრულებებში. დაუშვებელია ADB-ს არბიტრად დასახელება ან მისთვის არბიტრის დასახელების მოთხოვნა. სამუშაოების, მიწოდების, სამონტაჟო და დიზაინ-მშენებლობის ხელშეკრულებების შემთხვევებში, დავის მოგვარების დებულებაში შეიძლება ასევე მოცემული იყოს ისეთი მექანიზმები, როგორიცაა დავების განხილვის საბჭოები ან არბიტრაჟი, რომელთა შექმნის მიზანია დავის უფრო სწრაფად მოგვარება.

წინადადებების მომზადების დრო

60. წინადადებების მომზადებისა და წარდგენისთვის განსაზღვრული დრო განისაზღვრება პროექტის განსაკუთრებული გარემოებების, ხელშეკრულების სიდიდისა და სირთულის გათვალისწინებით.

61. მინიმალური ვადები შეიძლება შემცირდეს, თუ შეტყობინებები იგზავნება და/ან წინადადებები მიიღება ელექტრონულად. დიდი სამუშაოების, მომსახურებების ან აღჭურვილობის კომპლექსური ნივთების ჩართვის შემთხვევაში, შესაძლოა, აუცილებელი იყოს გახანგრძლივებული ვადა სავარაუდო პრეტენდენტთა მიერ წინადადებების წარდგენამდე კვლევების ჩატარებისთვის. ასეთ შემთხვევებში, მსესხებელს მოუწოდებენ წინასატენდერო შეხვედრების მოწვევისა და ადგილმდებარეობათა მონახულების უზრუნველყოფისთვის. სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადა და ადგილი მითითებული იყოს სატენდერო წინადადებების მოწვევასა და სატენდერო დოკუმენტაციაში.

წინადადებების გახსნის პროცედურები

62. წინადადებების გახსნის პროცედურები დამოკიდებულია იმაზე, ეფუძნება თუ არა პროცედურა ერთი ან ორი კონვერტის ერთ ან ორ ეტაპად წარდგენას.

63. საკონსულტაციო მომსახურების გარდა, საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების უმრავლესი ხელშეკრულებებისთვის გამოყენებული ერთ კონვერტიანი პროცედურის შემთხვევაში, წინადადების გახსნის დრო უნდა იყოს იგივე, რაც წინადადებების მიღების ბოლო ვადა ან ბოლო ვადიდან უმცირესი დრო. ასევე, დრო უნდა განისაზღვროს სატენდერო დოკუმენტაციაში, წინადადების გახსნის ადგილთან ერთად.

64. მსესხებელი ვალდებულია, ყველა წინადადება დადგენილ დროსა და ადგილზე გახსნას. წინადადებები იხსნება საჯაროდ;

პრეტენდენტებს ან მათ წარმომადგენლებს აქვთ პირადად დასწრების უფლება (ან ონლაინ დასწრება ელექტრონული სატენდერო პროცედურის შემთხვევაში). პრეტენდენტის სახელი, თითოეული წინადადების ჯამური ოდენობა და ნებისმიერი ალტერნატიული წინადადება, თუ ისინი მოთხოვნილ იქნა ან ნებადართულია, წაკითხულ უნდა იქნას ხმამაღლა (და განთავსდეს ინტერნეტში ელექტრონული სატენდერო წინადადების გამოყენებისას) და ჩაიწეროს გახსნისთანავე. ჩანაწერის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება ADB-სა და ყველა იმ პრეტენდენტს, რომლებმაც დროულად წარადგინეს წინადადებები.

65. არ განიხილება როგორც გათვალისწინებული დროის შემდეგ მიღებული, ასევე სატენდერო წინადადების გახსნისას გაუხსნელი და წაუკითხავი წინადადებები. წინადადების ელექტრონული წარდგენისას, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ADB–სთვის მისაღები წინადადების გახსნის პროცედურა.

66. ერთსაფეხურიანი ორ კონვერტიანი სისტემის შემთხვევაში, რომელიც ძირითადად საკონსულტაციო მომსახურებისთვის გამოიყენება, მაგრამ აგრეთვე მისაღებია საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებებისთვისაც, ტექნიკური და ფინანსური წინადადებებისათვის შეთავაზებები ცალკე კონვერტებით ერთდროულად უნდა იქნას წარდგენილი.

67. პირველად იხსნება ტექნიკური წინადადება სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დასადგენად. შეფასებისა და შედარებისთვის გახსნილია მხოლოდ იმ პრეტენდენტთა ფინანსური წინადადებები, რომლებსაც აქვთ საპასუხო ტექნიკური წინადადებები. პრეტენდენტების ფინანსური წინადადებები, რომელთა ტექნიკური წინადადებები არ არის საპასუხო, გაუხსნელი სახით დაუყოვნებლივ ბრუნდება უკან.

68. საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, ტექნიკური წინადადების განხილვა ემყარება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს. ტექნიკური ხარისხის შეფასების შემდეგ,

ა) კომპანიებს, რომელთა ტექნიკური წინადადებები არ აკმაყოფილებს მინიმალურ საკვალიფიკაციო ქულას ან არ პასუხობენ მოწვევის მოთხოვნებს, ეცნობებათ და ფინანსური წინადადებები უკან დაუბრუნდებათ გაუხსნელ მდგომარეობაში; ხოლო

ბ) კომპანიებს, რომლებმაც მოიპოვეს მინიმალური საკვალიფიკაციო ტექნიკური ქულა, ეცნობებათ ფინანსური წინადადებების გახსნის ადგილის,

თარიღისა და დროის შესახებ; ფირმების დასახელება, ტექნიკური ხარისხის ქულები და შემოთავაზებული ფასები გამოცხადდება და აღირიცხება ფინანსური წინადადებების გახსნისას.

შეთავაზებების განმარტებები ან ცვლილებები

69. პრეტენდენტებს ეკრძალებათ წინადადებების შეცვლა წინადადების მიღების ვადის გასვლის შემდეგ. მსესხებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს პრეტენდენტებს მათი წინადადებების შესაფასებლად საჭირო ნებისმიერი განმარტება, მაგრამ არ აქვს უფლება, მოსთხოვოს ან ნება დართოს პრეტენდენტებს, შეცვალონ წინადადებების შინაარსი და ფასი ან წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები წინადადების გახსნის შემდეგ.

70. განმარტების თხოვნა და პრეტენდენტის პასუხი უნდა შესრულდეს წერილობით ან უსაფრთხო ელექტრონული სისტემის საშუალებით.

კონფიდენციალურობა

71. პრეტენდენტებს ან სხვა პირებს, რომლებიც ოფიციალურად არ არიან დაკავშირებული აღნიშნულ პროცესთან, სატენდერო წინადადებების საჯაროდ გახსნის შემდეგ, ხელშეკრულების მინიჭების გამოქვეყნებამდე, არ ეცნობებათ ინფორმაცია შემოთავაზებების შემოწმების, განმარტებისა და შეფასების, ან ხელშეკრულების მინიჭების რეკომენდაციის შესახებ.

წინადადებების შემოწმება

72. მსესხებელი უნდა დარწმუნდეს, რომ

ა) წინადადებები აკმაყოფილებს დასაშვებობის მოთხოვნებს;

ბ) სათანადოდ ხელმოწერილია;

გ) თან ახლავს საჭირო უზრუნველყოფა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია;

დ) არსებითად პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციას; და

ე) სხვა დანარჩენი ასპექტების მიხედვითაც წესრიგშია.

73. თუ სატენდერო წინადადება არსებითად არ პასუხობს ანუ

შეიცავს არსებით გადახრებს ან დათქმებს სატენდერო დოკუმენტაციის პირობებთან და სპეციფიკაციებთან მიმართებით, იგი მომდევნო ეტაპებისთვის არ განიხილება. პრეტენდენტს ეკრძალება წინადადებების გახსნის შემდეგ არსებითი გადახრებისა ან დათქმების შესწორება ან გაუქმება.

წინადადებების შეფასება და შედარება

74. შეფასების მიზანია, გამოავლინოს არსებითად შესაბამისი წინადადება, რომლითაც შემოთავაზებულია ღირებულების ფასთან ოპტიმალური შესაბამისობა; ღირებულების ფასთან შესაბამისობა უნდა განისაზღვროს ფაქტორების ერთობლიობის საფუძველზე, რაც დამოკიდებულია მოცემული შესყიდვის ხასიათსა და მასშტაბზე. აღნიშნული მოცემულია პირველ დანართში.

შეფასების ანგარიში

75. მსესხებელმა უნდა მოამზადოს დეტალური ანგარიში წინადადებების შეფასებისა და შედარების შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება ხელშეკრულების მინიჭების შესახებ რეკომენდაციის კონკრეტული მიზეზები.

არანორმალურად დაბალი შეთავაზებები

76. დაუშვებელია ნებისმიერი პროცედურა, რომლის მიხედვითაც, წინასწარ განსაზღვრულ ღირებულებაზე დაბალი ან მაღალი სატენდერო წინადადებები ავტომატურად დისკვალიფიცირდება. ამასთან, არანორმალურად დაბალი შეთავაზება შეიძლება გამოირიცხოს ან დაექვემდებაროს გარკვეულ პირობებს, როდესაც წინადადების ფასი დაუსაბუთებლად დაბალია, ეს იწვევს შეშფოთებას მსესხებლის წინაშე პრეტენდენტის შესაძლებლობის შესახებ, წარმატებით შეასრულოს ხელშეკრულება.

77. ამგვარი სატენდერო წინადადების იდენტიფიცირებისას, მსესხებელმა პრეტენდენტისგან უნდა მოითხოვოს წერილობითი განმარტებები შემოთავაზებული ფასისა და დანახარჯების შესახებ, მათ შორის მისი წინადადების ფასების დეტალური ანალიზი მასშტაბის, შემოთავაზებული მეთოდოლოგიის, გრაფიკისა და რისკების და

პასუხისმგებლობის განაწილების მითითებით.

78. აღნიშნული ასევე შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას წარმოების პროცესის ეკონომიურობის, გაწეული მომსახურების ან მშენებლობის მეთოდის შესახებ; პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების ან სამუშაოს შესრულების მიზნით პრეტენდენტისთვის არჩეული ტექნიკური გადაწყვეტილებების ან ნებისმიერი განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შესახებ; ან შემოთავაზებული სამუშაოს, მასალების ან მომსახურების ორიგინალობის თაობაზე.

79. მოცემული ახსნა-განმარტებისა და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების დეტალური ანალიზის შემდეგ, მსესხებელს შეუძლია;

ა) მიიღოს წინადადება,

ბ) მოითხოვოს, რომ შესრულების უზრუნველყოფის ოდენობა გაიზარდოს პრეტენდენტის ხარჯზე იმ დონეზე, რომ დაიცვას მსესხებელი ფინანსური ზარალისგან ხელშეკრულების საფუძველზე პრეტენდენტის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში,

გ) ან უარი თქვას წინადადებაზე, სადაც მოწოდებული მტკიცებულებები დამაკმაყოფილებლად არ ხსნის შემოთავაზებული ფასის ან დანახარჯების დაბალ დონეს.

შიდა პრეფერენციები

80. ADB– ს შეუძლია მიიღოს დებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან მხარს უჭერენ შიდა ინდუსტრიის განვითარებას შიდა შეღავათიანი სქემების საშუალებით, იმ პირობით, რომ ADB დარწმუნდება, რომ ასეთი დებულებები აკმაყოფილებს შესყიდვების ძირითადი პრინციპებს.

81. თუ შიდა პრიორიტეტული დარგები ნებადართულია განვითარების სხვა პარტნიორების მიერ ADB–ის განვითარებად წევრ ქვეყნებში, ADB–ს შეუძლია დაუშვას იგივე სხვა შემთხვევაშიც.

82. შეთანხმებული მიდგომები აისახება შესყიდვების გეგმაში.

სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადის გაგრძელება

83. მსესხებლებმა უნდა დაასრულონ წინადადებების შეფასება და

ხელშეკრულების მინიჭება სატენდერო წინადადების მოქმედების საწყის ვადაში, ისე, რომ გაგრძელება არ გახდეს საჭირო. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გაგრძელება, თუ ეს სათანადოდ დასაბუთდდება, ყველა პრეტენდენტს უნდა ეთხოვოს წერილობით შეთავაზებების მოქმედების ვადის გასვლამდე.

84. გაგრძელების ვადა უნდა იყოს ის მინიმალური ვადა, რომელიც საჭიროა შეფასების დასრულების, საჭირო ნებართვების და/ან თანხმობის მისაღებად და ხელშეკრულების მინიჭებისთვის. გაგრძელების ვადა უნდა იყოს ის მინიმალური ვადა, რომელიც საჭიროა შეფასების დასრულების, საჭირო ნებართვების და/ან თანხმობის მისაღებად და ხელშეკრულების მინიჭებისთვის. პრეტენდენტებს უფლება აქვთ უარი თქვან ამგვარი ვადის გაგრძელებაზე.

85. თუ სატენდერო დოკუმენტაცია საჭიროებს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფას, პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი უფლება უარი განაცხადონ ამგვარი ვადის გაგრძელებაზე მათი წინადადების უზრუნველყოფის დაკარგვის გარეშე. იმ პრეტენდენტებს, რომელთაც სურთ განაგრძონ თავიანთი სატენდერო წინადადების მოქმედება, მოეთხოვებათ უზრუნველყონ სატენდერო წინადადების დაზღვევის შესაბამისი უპირობო გაგრძელება.

პრეტენდენტთა პოსტ კვალიფიკაცია

86. თუ პრეტენდენტებს არ აქვთ წინასწარი კვალიფიკაცია, მსესხებელმა უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა შემოთავაზებულ წარმატებულ პრეტენდენტს შესაძლებლობა და რესურსები ეფექტურად შეასრულოს საქონლის მიწოდების ან სამუშაოების განხორციელების ხელშეკრულება, როგორც ეს იყო მოცემული წარდგენილ შეთავაზებაში. დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს 1.17 პარაგრაფს და უნდა იყოს მითითებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო თუ პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, წინადადება უარყოფილი იქნება. ასეთ შემთხვევაში მსესხებელმა ანალოგიური გადაწყვეტილება უნდა გააკეთოს შემდეგი პრეტენდენტისთვის.

განზრახვა ხელშეკრულების მინიჭებაზე

87. ADB–ს შეუძლია დაუშვას ეროვნული ან სხვა განვითარების პარტნიორის რეგულაციების გამოყენება. სადაც მოქმედებს

ცალკეული დებულებები, მსესხებელმა შერჩევის პერიოდში[11] წერილობით უნდა აცნობოს თითოეულ პრეტენდენტს, რომელმაც წარადგინა წინადადება, შერჩევის პერიოდის ბოლოს წარმატებული პრეტენდენტისთვის ხელშეკრულების მინიჭების განზრახვის შესახებ და აღნიშნული თან უნდა დაერთოს ამ შეტყობინებას.

---

11 შეფასების პერიოდი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტებიდან ხელშეკრულების მინიჭების განზრახვის გაცხადებამდე (ხელშეკრულების ფაქტობრივ დადებამდე), რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ წარუმატებელ პრეტენდენტს შეუძლია გაასაჩივროს ხელშეკრულების მინიჭების განზრახვა.

ა) თითოეული პრეტენდენტის სახელი, რომელმაც წარადგინა წინადადება;

ბ) სატენდერო ფასები, როგორც წაკითხულია წინადადებების გახსნისას;

გ) თითოეული შეთავაზებული ფასის დასახელება და შეფასებული ფასები ან ტექნიკური და ფინანსური შეფასების შედეგად მინიჭებული ქულები;

დ) პრეტენდენტთა სახელი, რომელთა წინადადებები უარყოფილია და მათი უარყოფის მიზეზები;

ე) გამარჯვებული პრეტენდენტის სახელს და მის მიერ შეთავაზებულ ფასს ან მიღებულ ფასს, აგრეთვე დადებული ხელშეკრულების ხანგრძლივობას და ჯამურ მასშტაბებს; და

ვ) წარუმატებელი პრეტენდენტის წინადადების მიზეზის (მიზეზების) მითითება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფასების ფაქტორი უკვე ხსნის აღნიშნული უარყოფის მიზეზს.

88. არცერთ შემთხვევაში პრეტენდენტის ხარჯების, სავაჭრო საიდუმლოების, წარმოების პროცესებისა და ტექნიკის ან სხვა კონფიდენციალური ბიზნეს ან ფინანსური ინფორმაციის წარდგენა არ უნდა გაუცხადდეს სხვა პრეტენდენტს.

89. ცალკეული დებულებების გათვალისწინებით, მსესხებლები ხელშეკრულების მინიჭების თაობაზე ვადის მოქმედების მანძილზე ხელშეკრულებას მიანიჭეებენ პრეტენდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შესაძლებლობების და რესურსების შესაბამის სტანდარტებს და რომლის წინადადების შეფასებით

დადგინდა, რომ არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციას და შესთავაზებს ან

ა) ყველაზე დაბალფასს ან;

ბ) ხარისხისა და ფასის საუკეთესო კომბინაციას, შესაბამისი და ხელშეკრულების ტიპის მიხედვით (მაგ. საკონსულტაციო მომსახურება) სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

90. პრეტენდენტს არ უნდა მოეთხოვოს, როგორც მინიჭების პირობა, აიღოს პასუხისმგებლობა სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ან სხვაგვარად შეცვალოს ის წინადადება, როგორც თავდაპირველად იყო წარმოდგენილი.

ხელშეკრულების მინიჭების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

91. ხელშეკრულების მინიჭებიდან ან შეფასების ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში, თუ ეს ვადა მოქმედია, ან თუ საჩივარი განხილულია შეფასების ვადაში, ADB–ს მიერ საჩივრის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტის დასტურის მიღებისთანავე, მსესხებელი აგზავნის შეტყობინებას წარმატებული პრეტენდენტისთვის ხელშეკრულების მინიჭების თაობაზე და ინგლისურენოვან გაზეთში ან ფართოდ ცნობილ და თავისუფლად მისაწვდომ ვებგვერდზე აქვეყნებს შედეგებს სატენდერო წინადადების და ლოტის ან პაკეტის ნომრების შესაბამისად, ამ დანართის 87-ე პარაგრაფის შესაბამისად.

ყველა წინადადების უარყოფა

92. სატენდერო დოკუმენტაცია ჩვეულებრივ ითვალისწინებს, რომ მსესხებლებს შეუძლიათ უარი თქვან ყველა წინადადებაზე. ყველა წინადადების უარყოფა დასაბუთებულია, როდესაც არ არსებობს ეფექტური კონკურენცია, წინადადებები არსებითად არ შეესაბამება ან როდესაც წინადადებების ფასები არსებითად აღემატება არსებულ ბიუჯეტს. კონკურენციის არარსებობა არ განისაზღვრება მხოლოდ პრეტენდენტთა რაოდენობის მიხედვით.

93. მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ ერთი წინადადებაა წარმოდგენილი, სატენდერო პროცესი შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, თუ წინადადებების წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია დამაკმაყოფილებლად იქნა გავრცელებული და ფასები იყო გონივრული საბაზრო ღირებულებასთან შედარებით.

94. მსესხებლებმა შეიძლება უარყონ ყველა შეთავაზება. თუ ყველა წინადადება უარყოფილია, მსესხებელი განიხილავს უარყოფის დასაბუთებულ მიზეზებს, ხელშეკრულების პირობების, დიზაინისა და სპეციფიკაციების, ხელშეკრულების მასშტაბში ან მათ კომბინაციაში ცვლილებების შეტანას ახალი წინადადებების მოწვევის დაწყებამდე.

95. თუ ყველა წინადადების უარყოფა გამოწვეულია კონკურენციის არარსებობით, განიხილება ინფორმაციის გავრცელების უფრო ფართო მასშტაბი. თუ უარყოფა გამოწვეულია წინადადებების უმეტესობის ან ყველა მათგანის შეუსაბამობისს გამო, თავდაპირველად წინასწარი კვალიფიკაციის მქონე ფირმებიდან, ან ADB–სთან შეთანხმებით, შეიძლება დაშვებულ იქნას ახალი წინადადებების წარმოდგენა მხოლოდ მათგან, ვინც პირველ წარდგენაში შემოიტანა წინადადებები, იმ პირობით, რომ მსესხებელმა გულისყურით განიხილა სატენდერო წინადადებებზე რეაგირების ნაკლებობის მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალა ან შესწორა სატენდერო დოკუმენტაცია.

96. როდესაც ყველა სატენდერო წინადადება უარყოფილია, ხელახალი შეთავაზება შეიძლება არ იქნეს დაშვებული და მსესხებელმა სხვებისგან მოითხოვოს ახალი წინადადებები, მათი გამორიცხვით ვინც პირველ წარდგენაში მიიღო მონაწილეობა.

97. ამასთან, თუ პირველადი სატენდერო წინადადებების რაოდენობა საკმარისი იყო, მსესხებელს შეუძლია განიხილოს წინადადებების წარმოდგენა მხოლოდ მათგან, ვინც მანამდე წარადგინეს წინადადებები. როდესაც ყველა სატენდერო ფასი არსებითად აღემატება ხარჯთაღრიცხვას, მსესხებელს შეუძლია თავდაპირველი ბიუჯეტის საკმარისობის შესწავლის შემდეგ, ახალი წინადადებების გამოთხოვის ნაცვლად, და ADB–სთან კონსულტაციის შემდეგ, მიმართოს შემდეგი ღონისძიებებიდან რომელიმეს:

ა) სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების სხვა კონტრაქტების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების გარდა, მოლაპარაკება გამართოს ყველაზე დაბალი შეფასების მქონე პრეტენდენტთან წინადადების ფასის შემცირებაზე. თუ დამაკმაყოფილებელი ხელშეკრულების დადება და განმეორებითი განაცხადის მიღების გამოძახება შეუძლებელია, განიხილება ხელშეკრულების მოქმედების მასშტაბი.

ბ) საკონსულტაციო კონტრაქტების შემთხვევაში მოლაპარაკება გაიმართება პირველ ადგილზე მყოფ

კომპანიასთან, კომბინირებული ტექნიკური და ფინანსური ქულების საფუძველზე. მოლაპარაკებები მოიცავს სარეკომენდაციო პირობების განხილვას, მათ შორის, მასშტაბს, მეთოდოლოგიას, პერსონალის განრიგს, მსესხებლის ეკვივალენტურ საშუალებებს და დანახარჯების რაოდენობას კომპანიის ფინანსურ წინადადებაში.

ამასთან, ეს დისკუსიები არსებითად არ შეცვლის სატენდერო დოკუმენტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. [12]

98. ADB–ს წინასწარ განხილვას დაქვემდებარებული კონტრაქტების მისაღებად ADB–ის წინასწარი თანხმობა მიღებულ უნდა იქნას ყველა წინადადების უარყოფამდე, ახალი წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნამდე, ორიგინალი ბიუჯეტის ან/და შეფასების არსებითად შეცვლამდე, ან ყველაზე დაბალ შეფასებულ პრეტენდენტთან მოლაპარაკებების დაწყებამდე.

მოკლე საინფორმაციო შეჯამების მომზადება

99. ხელშეკრულების მინიჭების შესახებ შეტყობინებაში მსესხებელმა უნდა მიუთითოს, რომ ნებისმიერ პრეტენდენტს, რომელსაც სურს გაარკვიოს, თუ რა მიზეზების გამო არ იქნა არჩეული, უნდა მოითხოვოს აღნიშნული განმარტება. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს დაუყოვნებლივ, წერილობით ან / და სადისკუსიო შეხვედრაზე, და ნებისმიერ შემთხვევაში შეფასების პერიოდის დასრულებამდე, თუ იგი გამოიყენება, შესაბამისი განმარტების მიწოდება, თუ რატომ არ იქნა არჩეული ასეთი წინადადება. თუ პრეტენდენტი არ არის კმაყოფილი მსესხებლის მიერ მოწოდებული განმარტებით ან თუ მსესხებელი ვერ წარმოგვიდგენს მსჯელობას, პრეტენდენტს შეუძლია წერილობით უშუალოდ მიმართოს ADB-ს. მომთხოვნმა პრეტენდენტმა უნდა გაიაროს საინფორმაციო შეჯამების მომზადების ყველა დაკავშირებული ხარჯი.[12]

[12] შერჩეული კომპანია შესაძლოა დაშვებულ არ იქნას ექსპერტულ მსჯელობაზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორივე მხარეები თანხმდებიან, რომ შერჩევის პროცესში ცვლილება გარდაუვალია და რომ ასეთი ცვლილებები აუცილებელია დასახული მიზნების მიღწევისათვის.

დანართი 4

საკონსულტაციო მომსახურების შერჩევა წინადადებების ღია კონკურენტული წარმოდგენით

შერჩევის მოკლე სია

1. საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, წინასწარი კვალიფიკაცია ხდება შერჩევის მოკლე სიის გამოყენებით.
2. მსესხებლები განათავსებენ მოთხოვნას ინტერესის გამოხატვის შესახებ (REOI), რომელშიც მოცემულია კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული საკონსულტაციო კონტრაქტების პრეტენდენტთა მოკლე სიის შესარჩევად. მსესხებელს შეუძლია შეამციროს პრეტენდენტთა რაოდენობა, რომლებიც მოხვდებიან მოკლე სიაში. აღნიშნულის ობიექტური კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს REOI- ში.
3. მოკლე ჩამონათვალში მყოფი ფირმები მიიღებენ მოწვევას წინადადებების წარმოდგენაზე (RFP).
4. FP უნდა მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტებისა და ფორმების დართვით.

შერჩევის მეთოდები

5. საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტების შემთხვევაში, ღირებულების ფასთან შესაბამისობა ჩვეულებრივ ემყარება მოცემული მომსახურების შესაბამისი ხარისხისა და ფასის საუკეთესო კომბინაციას. ეს მიიღწევა წინასწარი კვალიფიკაციის მქონე კომპანიებს შორის კონკურენციით, რომელშიც შერჩევა ეფუძნება წინადადების ხარისხს და, საჭიროების შემთხვევაში, გაწეული მომსახურების ღირებულებას.

6. ხარისხისა და ხარჯზე დაფუძნებული შერჩევის (QCBS) მეთოდი შესაფერისია;

ა) როდესაც სამუშაოს მოცულობა შეიძლება ზუსტად განისაზღვროს;

ბ) ტექნიკური პირობები (TOR) მკაფიოა და კარგად არის განსაზღვრული; და

გ) მსესხებელს (ან, შესაბამისად, აზიის განვითარების ბანკს [ADB]) და კონსულტანტებს შეუძლიათ გონივრული სიზუსტით შეაფასონ პერსონალის მიერ გასაწევი დრო და კონსულტანტებისთვის საჭირო სხვა მონაცემები. ღირებულების წონის არჩევა ხდება დავალების სირთულის, გავლენისა და ხარისხის ფარდობითი მნიშვნელობებით.

7. ცალკეულ შემთხვევებში, საკონსულტაციო მომსახურება ფასდება ხარისხის საფუძველზე შერჩევის (QBS) მეთოდით, სადაც შეფასებულია მხოლოდ ტექნიკური წინადადებების ხარისხი. QBS შესაბამისია, როდესაც

ა) დავალებები რთული ან მაღალ სპეციალიზირებულია, რაც ართულებს ზუსტი TOR-ისა და კონსულტანტების საჭირო ინფორმაციის განსაზღვრას;

ბ) დავალების ქვე კომპონენტის ზემოქმედება იმდენად დიდია, რომ მომსახურების ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროექტის შედეგისთვის; და

გ) დავალებების შესრულება შეიძლება არსებითად განსხვავებული გზით, ისე რომ ფინანსური წინადადებების შედარება გართულდეს ალტერნატიული ვარიანტებისათვის.

8. ზოგიერთ შემთხვევაში, ხარისხი ასევე მნიშვნელოვანია მცირე დავალებებისთვის, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას კონსულტანტების კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევა, თუ

ა) განიხილება მაღალ სპეციალიზებული ექსპერტიზა "ბუტიკის" ტიპის საკონსულტაციო ფირმების შერჩევაზე, სპეციფიკურ სფეროებში სიღრმისეული ექსპერტიზის განხორციელებისათვის;

ბ) შერჩევის დრო კრიტიკულია და დავალება, როგორც წესი, მოკლევადიანია;

გ) მხოლოდ რამდენიმე კონსულტანტია კვალიფიციური;

დ) კონკურენტული წინადადებების მომზადება და შეფასება არ არის გამართლებული.

9. ფიქსირებული ბიუჯეტის შერჩევა (FBS) შესაბამისია, როდესაც

ა) TOR ზუსტად არის განსაზღვრული;

ბ) დროისა და პერსონალის საჭიროებების ზუსტი შეფასება შეიძლება; და

გ) ბიუჯეტი ფიქსირებულია და მისი გადაჭარბება შეუძლებელია.

10. მინიმალური ღირებულების მიხედვით შერჩევა (LCS) არის შესაბამისი მეთოდი სტანდარტული ან რუტინული ხასიათის მცირე დავალებებისათვის[1], სადაც კარგად დადგენილი პრაქტიკა და სტანდარტები არსებობს, კონსულტანტების შერჩევისთვის.

საკონსულტაციო მომსახურების ფასები

11. დროზე დაფუძნებული საკონსულტაციო კონტრაქტებისთვის,[2] გადახდები უკავშირდება განსაზღვრულ წვლილს და პრეტენდენტებს მოეთხოვებათ ფასების კოტირება განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე, მაგალითად, კონტრაქტში მითითებული პერსონალის ყოველთვიური ტარიფები და ანაზღაურებადი ხარჯები ფაქტობრივი ხარჯების ან / და შეთანხმებული ერთეულის კურსი. სხვა შემთხვევაში, ფასების შეთანხმება შესაძლებელია ალტერნატიულ საფუძველზე, მაგალითად მთლიანი ფასი,[3]

[1] მაგალითად, აუდიტი, საინჟინრო დიზაინი და / ან მარტივი პროექტების ზედამხედველობა და მარტივი გამოკვლევები.

2 ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინ, როდესაც ძნელია განისაზღვროს მომსახურების მოცულობა, შედეგები და ხანგრძლივობა, ან იმის გამო, რომ მომსახურება დაკავშირებულია და ელოდება სხვათა მიერ საქმიანობის დასრულებას, რომელთა დასრულების პერიოდი შეიძლება განსხვავდებოდეს, ან იმის გამო, რომ კონსულტანტების შეფასება რთულია.

3 ჯამური ღირებულების კონტრაქტები გამოიყენება დავალებებისათვის, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული შინაარსი, მომსახურების ხანგრძლივობა და კონსულტანტებისაგან მოსალოდნელი საჭირო შედეგები. აღნიშნული მოიცავს მარტივი დაგეგმვისა და მიზანშეწონილობის კვლევებს, გარემოსდაცვით კვლევებს, სტანდარტული ან საერთო სტრუქტურების დეტალურ დიზაინს, მომსახურების მიწოდების დავალებებს და მონაცემთა დამუშავების სისტემების მომზადებას.

ექსპერტებისათვის შეთანხმებული ანაზღაურების განაკვეთების, დავალების შესრულებაზე დახარჯული ფაქტობრივი დროის მიხედვით,[4] პროცენტული გადახდები შესრულების კონკრეტული ნაწილის საფუძველზე[5] ან წარმატების საკომისიო (ჩვეულებრივ გამოხატულია როგორც აქტივების გასაყიდი ფასის პროცენტული მაჩვენებელი) ან პირობითი (წარმატების) საკომისიოები.[6]

საკონსულტაციო მომსახურების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია

12. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების ხარისხის შეფასება არ არის მარტივი სტანდარტული ტექნიკური სპეციფიკაციების საფუძველზე, იმ დაშვებით რომ წონადი მნიშვნელობა აქვს კონსულტანტის კვალიფიკაციას, გამოცდილებასა და მუშაობის შედეგიანობას. ამავე დროს, განსახორციელებელი მომსახურების ხასიათი და საჭირო ინტელექტუალური წვლილის ხარისხი[7] განსაზღვრავს ხარისხის შესაბამის დონეს და ღირებულებას.

---

4 ხელშეკრულება გამოიყენება მაშინ, როდესაც მსესხებლებს ესაჭიროებათ მოთხოვნის მიხედვით სპეციალიზირებული მომსახურება კონკრეტული საქმიანობის შესახებ რჩევების მისაღებად, რომელთა მოცულობა და დრო წინასწარ განსაზღვრული არ არის და იგი გამოიყენება მრჩევლების შესანარჩუნებლად კომპლექსური პროექტების განსახორციელებლად, დავების მოგვარების მოდელები, ინსტიტუციური რეფორმები, შესყიდვების შესახებ რჩევები და ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, ჩვეულებრივ, ერთი წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში.

5 შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტი გამოიყენება საკონსულტაციო მომსახურების შედეგების მიწოდების გასაუმჯობესებლად, რითაც გაუმჯობესდება ღირებულების ფასთან შესაბამისობა.

6 ეს კონტრაქტები ფართოდ გამოიყენება, როდესაც კონსულტანტები (ბანკები ან ფინანსური ფირმები) ამზადებენ კომპანიებს გასაყიდად ან შერწყმისთვის, განსაკუთრებით პრივატიზაციის ოპერაციებში.

7 ზოგიერთი საკონსულტაციო მომსახურება მოითხოვს კვალიფიციური პროფესიონალების მიერ რუტინული ამოცანების შესრულებას სტანდარტული პროცედურების შესაბამისად (მაგალითად, აღრიცხვის ან სანოტარო მომსახურება), რომელიც არ საჭიროებს დამატებით შემოქმედებით წვლილს. სხვა სერვისები არ არის რუტინული და საჭიროებს დამატებით ინტელექტუალურ და შემოქმედებით წვლილს (მაგ., სასამართლო ბუღალტრული აღრიცხვა ან სადავო საკითხების შესახებ რჩევა), სადაც პროფესიონალის გამოცდილება და წარმატება გადამწყვეტია.

დანართი 5

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია

1. შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია იმისთვის, რომ მსესხებელმა შეძლოს ფასის ღირებულებასთან მიმართების ოპტიმალური ბალანსის მიღწევა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში. ეს უკანასკნელი ასახული უნდა იყოს შესყიდვების გეგმაში.

ძირითადი მოთხოვნები

2. შეფასების კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს შესყიდვების ხასიათს და სირთულეს და

ა) იყოს პროპორციული და შესაბამისი შესყიდვის ტიპის, ხასიათის, ბაზრის პირობების, სირთულის, რისკის, ღირებულებისა და მიზნის შესაბამისი;

ბ) რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს რაოდენობრივად შეფასებული (ე.ი. მონეტარულ ერთეულებში კონვერტირებადი);

გ) უნდა იყოს შეტანილი ტექნიკურ მოთხოვნაში (ყველა სხვა კრიტერიუმის გამორიცხვა) სატენდერო დოკუმენტებთან ერთად, ერთვოდეს კონკრეტული მეთოდის სრული განმარტება;

დ) შეიცვალოს მხოლოდ შესწორებების გზით; და

ე) თანმიმდევრულად უნდა იქნას გამოყენებული ყველა შეთავაზებულ წინადადებაზე.

3 კერძოდ, შეფასების კრიტერიუმები უნდა ასახავდეს შესყიდვების ხასიათს და ხარჯისა და ხარისხის ელემენტების სათანადო დაბალანსების აუცილებლობას.

ა) იქ, სადაც ტექნიკური მოთხოვნების ხარისხის სტანდარტები შეიძლება დადგინდეს და იზომება ტექნიკური მითითებით, მარტივად სპეციფიკაციებით ან ინდუსტრიის კარგად დადგენილი სტანდარტებით, ფასისმიერი ღირებულება მიიღწევა შეფასების გამოყენებით, საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების ყველაზე დაბალი შეფასებული ღირებულების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ეს შეეხება სტანდარტულ საქონელს და აღჭურვილობას, სტანდარტულ სამშენებლო და სხვა არასაკონსულტაციო მომსახურებას.

ბ) სადაც ხარისხი უნდა შეფასდეს მომწოდებლებს შორის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და მუშაობის შეფასების საფუძველზე, მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, ან საჭიროა კომპლექსური გადაწყვეტილებები, რომლებიც შედგება საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების კომბინაციისგან, უფრო მეტი ალბათობით ფასის ღირებულებასთან შესაბამისობა მიღწეული იქნება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას მოგცემთ შეაფასოთ ბალანსი ფასსა და ხარისხს შორის მსესხებლის საჭიროებების შესაბამისად, აგრეთვე პროექტის განვითარების მიზნების შესაბამისად.

საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურებების შეფასება

4. საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებების შემთხვევაში, ფასის ღირებულებასთან შესაბამისობა ზოგადად განისაზღვრება ყველაზე დაბალი, არსებითად შესაბამისი, შეფასებული დანახარჯების საფუძველზე. იმ პირობით, რომ პრეტენდენტი კვალიფიციურია, წინადადება ყველაზე დაბალი შეფასებული ფასით, მაგრამ არა აუცილებლად ყველაზე დაბალი წარდგენილი ფასით, სავარაუდოდ წარმატებული იქნება.
5. სატენდერო წინადადების გახსნისას წაკითხული სატენდერო ფასი უნდა შეიცვალოს არითმეტიკული შეცდომების გამოსასწორებლად. ასევე, შეფასების მიზნით, კორექტირება უნდა განხორციელდეს რაოდენობრივი არამატერიალური გადახრების ან დათქმების შემთხვევაში. შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება ფასის კორექტირების დებულებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების შესრულების პერიოდს.

6. საქონლისა და მოწყობილობების შეძენისათვის არსებული არაფასისმიერი ფაქტორები მოიცავს: გადახდის გრაფიკს, მიწოდების დროს, საოპერაციო დანახარჯებს, მოწყობილობების ეფექტიონობას და თავესებადობის პირობებს; მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ხელმისაწვდომობას, უსაფრთხოებას, დავავშირებულ მოხმარების ტრენინგებს, გარემოსადაცვით (მათ შორის მდგრადობის) კომპონენტებს. ცალკეულ შემთხვევებში (მაგ., მაღალი დონის ტექნოლოგია), არაფასისმიერ ფაქტორებს მიეკუთვნება: ტექნიკური ხარისხი, დანახარჯები საციცოცხლო ციკლის მიხედვით, გრძელვადიანი მოვლა-შენახვა და ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენება.
7. ფასის გარდა სხვა ფაქტორები, სადაც შესაძლებელია გამოსახული უნდა იყოს მონეტარულ ერთულებში, წარმოდგენილ იყოს სატენდერო დოკუმენტაციაში ან თუ შეუძლებელია მათი მონეტარული გამოსახვა წარმოადგენილ უნდა იყოს მათი შეფარდებითი წონა და მონეტიზაციის შეუძლებლობის შესახებ განმარტება.
8. სამუშაოების განხორცილების კონტრაქტების მიხედვით, კონტრაქტორები პასუხისმგებელნი არიან ყველა გადასახადზე, გადასახდელზე და სხვა მოსაკრებლებზე, პრეტენდენტებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ფაქტორები შეთავაზებების მომზადებისას. თუ დრო კრიტიკული ფაქტორია, მსესხებლისათვის ნაადრევი დასრულების მნიშვნელობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

საკონსულტაციო მომსახურების შეფასება

9. ხარისხისა და ხარჯზე დაფუძნებული შერჩევის (QCBS) მიხედვით, ტექნიკური შეფასების დასრულების შემდეგ ხდება ტენდერში მონაწილეების ფინანსური წინადადებების საჯაროდ გახსნა. გახსნის დროს ცხადდება და ფიქსირდება კომპანიების სახელი, ტექნიკური ხარისხის ქულები და შემოთავაზებული ფასები. ამის შემდეგ მსესხებელი განიხილავს ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შესაბამისობას, ახდენს კორექტირებას საჭიროების შემთხვევაში და ასწორებს არითმეტიკულ ან გამოთვლილ შეცდომებს. საერთო ქულა მიიღება შეწონვით და ტექნიკური და ფინანსური ქულების დამატებით; აღნიშნული განსაზღვრავს კონსულტანტების წინადადებების საერთო რანჟირებას ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დაწყებამდე. შემოთავაზებული ფასის წონა შეირჩევა დავალების სირთულის, გავლენისა და ხარისხის შედარებით მნიშვნელობის გათვალისწინებით.
10. ხარისხის საფუძველზე შერჩევის (QBS) მიხედვით, ფასი არ იქნება გამოყენებული, როგორც შერჩევის კრიტერიუმი; სატენდერო

დოკუმენტაცია ითხოვს მხოლოდ ტექნიკური წინადადების წარდგენას. ხელშეკრულებაზე მოლაპარაკის დაწყებისათვის QCBS– ის მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების გამოყენებით, ყველაზე მაღალი ტექნიკური შეფასების მქონე კონსულტანტებს შემყიდველი სთხოვს დეტალური ფინანსური წინადებების წარმოდგენას, დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით, რომელიც ასევე შესაძლებელია დაექვემდებაროს აუდიტორულ შემოწმებას.

11. როდესაც მსესხებელი იყენებს კონსულტანტების კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის (CQS) მეთოდს, ამორჩევა ხდება ყველაზე შესაფერისი კვალიფიკაციისა კომპანიების სიიდან, რომელთა წარმოდგენილი წინდადება ყველაზე უკეთ პასუხობს ტექნიკურ დავალებას. შერჩეულ კომპანიას სთხოვენ, წარმოადგინოს კომბინირებული ტექნიკური და ფინანსური წინადადება და შემდეგ ხდება ხელშეკრულებაზე მოწვევა.
12. ფიქსირებული ბიუჯეტის მიხედვით შერჩევის (FBS) დროს, კომპანიები წარმოადგენენ თავიანთ საუკეთესო ტექნიკურ და ფინანსურ წინადადებებს ერთროულად ცალკეულ კონვერტებში, მითითებული ბიუჯეტის ზღვრებში. შეფასება ხდება საბიუჯეტო ზღვრისა და და ხარისხის მინიმალური საკვალიფიკაციო ნიშნის საფუძველზე (როგორც წესი, 750 ქულა შესაძლო 1000 ქულიდან). ყველა ტექნიკური წინადადების პირველადი შეფასების შემდეგ, იმ კომპანიების ფინანსური წინადადებები, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალური კვალიფიკაციას მოთხოვნას, ხდება მათი ტექნიკური წინადადების საჯაროდ გახსნა და ფასების ამოკითხვა. წინადადებები, რომლებიც აღემატება მითითებულ ბიუჯეტს, უარყოფილია და შეირჩევა კონსულტანტი, რომელმაც დანარჩენ წინადადებებს შორის უმაღლესი რანგის ტექნიკური წინადადება წარადგინა და ეს უკანასკნელი შესაბამისად, მოწვეული იქნება მოლაპარაკებისთვის.
13. მინიმალური დანახარჯების შერჩევის (LCS) მეთოდისთვის, კომპანიები ერთდროულად წარადგენენ ტექნიკურ და ფინანსურ წინადადებებს ცალკეულ კონვერტებში. სატენდერო დოკუმენტაცია განსაზღვრავს ხარისხის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნას (ჩვეულებრივ, 750 ქულა შესაძლო 1000 ქულიდან). თავდაპირველად იხსნება ტექნიკური წინადადებები და ხდება მათი შეფასება. ისინი, ვინც მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნის ნაკლებ შეფასებას მიიღებენ, ეთიშებიან შეფასების პროცესს და ხდება დარჩენილი პრეტენდენტების ფინანსური წინადადებების საჯარო ამოკითხვა. შემდეგ ეტაპზე შეირჩევა ყველაზე დაბალი ფასის მქონე ფირმა და ხდება მისი მოწვევა ხელშეკრულების დადების პროცესის დასრულების მიზნით.
14. LCS ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სტანდარტული ან რუტინული ხასიათის მცირე დავალებებისთვის კონსულტანტების ასარჩევად (აუდიტი, საინჟინრო დიზაინი და/ან მარტივი პროექტების

ზედამხედველობა და მარტივი გამოკვლევები), სადაც არსებობს კარგად დადგენილი პრაქტიკა და სტანდარტები.

15. ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევის შეფასების პროცედურები უფრო მარტივი და სწრაფია, ვიდრე საკონსულტაციო ფირმების შერჩევისთვის. ინდივიდუალური კონსულტანტების დაქირავება ხდება მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე. როდესაც მსესხებელი მიიღებს ინდივიდუალურ კონსულტანტებს სასესხო პროექტებში, შეთანხმებები მიიღწევა გამოცდილების ტიპსა და დავალებასთან შესაბამისობის მიხედვით, შესაბამისი პროცედურის გამოყენებით.

დანართი 6

შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების შეფასება აზიის განვითარების ბანკის მიერ

1. აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) მიღებული დაფინანსების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფისათვის, ბანკი ახორციელებს შესყიდვების შეფასებას რისკზე დაფუძნებული მიდგომით, პრე (წინასწარი) და პოსტ (შესყიდვის შემდგომი) შეფასების საფუძველზე (შერჩევითი შეფასებები).
2. ბანკის მიერ წინასწარი ან პოსტ შეფასების განხორციელება დამოკიდებულია პროექტისა და აქტივობების რისკებზე, რომელთა დადგენა ხორციელდება პროექტის მომზადების ეტაპზე, ხოლო ამ რისკების შეფასების განახლება კი პროექტის გახორციელების ციკლის განმავლობაში მიმდინარეობს. წინასწარი ან პოსტ განხილვის (შერჩევის) მოთხოვნა მითითებულია შესყიდვების გეგმაში.
3. პროექტის განხორციელების დროს, ADB ახორციელებს მონიტორინგს და აფასებს რისკებს და მათი შემცირების ღონისძიებებს. ბანკმა შესაძლოა მოსთხოვოს მსესხებელს შესყიდვების გეგმაში წინასწარი ან პოსტ განხილვის (შერჩევის)ცვლილება.
4. შესყიდვების ზედამხედველობა, შესყიდვების ალტერნატიული ღონისძიებების საფუძველზე, ემყარება ნდობისა და გადამოწმების მიდგომას და შეიძლება დაეყრდნოს მსესხებლის ზედამხედველობას მექანიზმებს ან იმ მექანიზმებს, რაც დაფინანსების ხელშეკრულებაშია მოცემული.

შესყიდვების დაგეგმვა

5. ADB აფასებს მსესხებლის მიერ წარმოდგენილ, შესყიდვების გეგმაში მოცემულ, შესყიდვის ღონისძიებებს რეგულაციებთან ამ უკანსკნელის შესაბამისობის დადგენის მიზნით. შესყიდვების გეგმა მოიცავს მინიმუმ 18 თვის საწყის პერიოდს.
6. შესყიდვების საწყისი გეგმა და ნებისმიერი შემდგომი ვერსია მომზადდება მსესხებლის მიერ და თანხმდება ADB–სთან. მსესხებელმა უნდა განაახლოს შესყიდვების გეგმა ყოველწლიურად ან საჭიროებისამებრ, თითოეული მათგანი მოიცავს პროექტის

განხორციელების თანმიმდევრულ 18-თვიან პერიოდს.[1] შესყიდვების საწყისი გეგმა და ნებისმიერი შემდგომი შესწორება თანხმდება ADB–სთან.

წინასწარი განხილვა

7. შესყიდვების გეგმით განსაზღვრული მაღალი რისკის მქონე კონტრაქტები ექვემდებარება ADB–ს წინასწარ განხილვას. მსესხებელმა უნდა შეიტანოს დამატებები, ცვლილებები ან მოახდინოს ცალკეული მუხლების წაშლა დოკუმენტებში, თუ ეს უკანასკნელი მოთხოვნილია ADB–ს მიერ.
8. წინასწარი განხილვის მოთხოვნები, როგორც წესი, შემდეგია:

ა) იმ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვისას წინასწარი კვალიფიკაცია გამოიყენება, ბანკის წინასწარი შეფასება მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს: პრეკვალიფიკაციის ეტაპზე მოწვევის ტექსტის საწყისი ვერსია, პრეკვალიფიკაცის დოკუმენტაცია, შეფასების მეთოდოლოგია, ინფორმაციის გავრცელების პროცესის აღწერა. შეფასების ანგარიში და შემოთავაზებული წინასწარი კვალიფიკაციის მქონე პრეტენდენტთა ჩამონათვალი უნდა გადაეცეს ADB- ს კომენტარისთვის. აღნიშნული, მსესხებლის მიერ უნდა მოხდეს პრეტენდენტებისათვის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების გაგზავნამდე.

ბ) სატენდერო წინადადებების მოწვევამდე, მსესხებელმა უნდა მიაწოდოს ADB–ს სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი კომენტარისთვის, ასევე ინფორმაციის გავრცელების იმ პროცედურების აღწერა, რომლებიც გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადებებისა და შეთავაზებების წარმოდგენაზე მოსაწვევის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის.

1 დანართი 9, პუნქტი

გ) სატენდერო წინადადებების მიღების და შეფასების შემდეგ, მსესხებელმა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, და ნებისმიერი შეფასების ვადის ამოწურვამდე, ADB–ს უნდა მიაწოდოს დეტალური ანგარიში მიღებული წინადადებების შეფასებისა და შედარების შესახებ. კონტრაქტის მინიჭების შესახებ რეკომენდაციებით და სხვა ინფორმაციით, რასაც ADB გონივრულ მოთხოვნად მიიჩნევს.

დ) თუ ADB დაადგენს, რომ კონტრაქტის სავარაუდო მინიჭება შეუსაბამოა შესყიდვების გეგმასთან მიმართებაში, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მსესხებელს და აცხადებს ასეთი შეფასების მიზეზების შესახებ. სხვა შემთხვევაში, ADB ეთანხმება ხელშეკრულების დადების რეკომენდაციას, რომლის მიღებისთანავე მსესხებელი დაუყოვნებლივ დადებს ხელშეკრულებას.

ე) თუ მსესხებელი მიიღებს პრეტენზიებს ან საჩივრებს პრეტენდენტებისგან, აღნიშნული განხილულ იქნება დანართ 7-ში მოცემული მიდგომების გამოყენებით.

ვ) თითოეული ხელშეკრულების დადების შემდეგ, ADB–ს გადაეცემა ხელშეკრულების ასლები. [2]

ზ) მსესხებელი ვალდებულია შეინახოს ყველა დოკუმენტაცია, რომელიც უკავშირდება სატენდერო წინადადებას და ხელშეკრულების შესრულებას, პროექტის დასრულების თარიღიდან მინიმუმ 1 წლის განმავლობაში.

9. წინასწარი გადახედვის პირობით გათვალისწინებული კონტრაქტების შემთხვევაში, თუ ხდება თავდაპირველი ფასის 15 ან მეტი პროცენტით ზრდა, მსესხებელმა უნდა მიიღოს ADB–ს თანხმობა. თუ ADB დაადგენს, რომ წინადადება შეუსაბამოა შესყიდვების გეგმის დებულებებთან, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მსესხებელს და ასახელებს აღნიშნულის მიზეზებს.

2 ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილება, რომელიც არსებითად განსხვავდება ADB–ს მიერ განხილული ორიგინალისგან, წარედგინება ADB–ს წინასწარი თანხმობის მიღებისათვის.

პოსტ შეფასება (შერჩევითი მიდგომა)

10. კონტრაქტები, რომლებიც არ ექვემდებარება ADB–ს წინასწარ განხილვას, ექვემდებარება შემდგომ შეფასებას ADB–ს მიერ შერჩევითი მიდგომის გამოყენებით, რომლის თაობაზეც ინფორმაცია მოცემულია პროექტის შესყიდვების გეგმაში (პოსტ შეფასება - შერჩევითი მიდგომა). მეთოდოლოგია ემყარება კონტრაქტების ღირებულებას, მახასიათებლებს და კონტრაქტების განაწილებას, შესყიდვების რისკებს, მსესხებლის შესაძლებლობებს. რისკის შეფასების საფუძველზე, ADB–ს შეუძლია განიხილოს ასევე საწყისი ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) საჭიროებისამებრ. შერჩევის მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს კონტრაქტებს, რომლებიც შეადგენენ საპროექტო გეგმით გათვალისწინებული გარიგებების მთლიანი რაოდენობის წარმომადგენლობით დიაპაზონს ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით, მაგრამ მათ შორისაა ის შერჩეული პროექტები, რომლებიც ფარავს პროექტის შესყიდვების გეგმით განსაზღვრულ ყველა სახის კონტრაქტს.[3]

11. მსესხებელმა უნდა შეინახოს თითოეულ იმ კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რომელიც ექვემდებარება პოსტ შეფასებას (შერჩევითი მიდგომით) პროექტის მიმდინარეობის პერიოდის მანძილზე, ასევე პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტაცია ჩვეულებრივ გულისხმობს სატენდერო წინადადებებს, თავდაპირველად ხელმოწერილ კონტრაქტს, შეფასების ანგარიშს (შესაბამისი წინადადებების ანალიზის ჩათვლით) და რეკომენდაციებს კონტრაქტის მინიჭების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები გამოყენებულ იქნება ADB–ს ან მისი კონსულტანტების მიერ შეფასების მიზნებისათვის.

12. ელექტრონული დოკუმენტების ძირითადი ასლები უნდა იყოს შენახული ბეჭდური ფორმით, შესაბამისი შემსყიდველი სააგენტოს ავტორიზებული ხელმოწერებით, ბეჭდით ან ADB– სთვის მისაღები სხვა მახასიათებლებით. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს აუდიტორული პროცედურების ჩატარება შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებისა და დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში არსებობის შემთხვევაში.

---

3 დანართი 7, პუნქტი 15.

13. მსესხებელმა ADB–ს უნდა გადასცეს საჭირო დოკუმენტაცია ხელშეკრულების დადებიდან მალევე, თუ დაფინანსების ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული.
14. თუ ADB დაადგენს, რომ საქონელი, სამუშაოები ან მომსახურება არ იქნა შესყიდული შესყიდვების გეგმაში ასახული შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად, მას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი ხელშეკრულების პირობების და ADB–ს განხორციელების მხარდაჭერისა და მონიტორინგის პირობების შესაბამისად.

დანართი 7

სატენდერო წინადადებებთან დაკავშირებული საჩივრები

მიზანი

1. ამ დანართში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცედურების შესახებ, რომლებიც წარმოიშობა ნებისმიერი სატენდერო პროცესიდან და რომელიც ამ რეგულაციების ობიექტს წარმოადგენს. ნებისმიერი საჩივარი, რომელიც ეხება თაღლითობას, კორუფციასა და/ან სხვა აკრძალულ პრაქტიკას აზიის განვითარების ბანკის ანტიკორუფციული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, დაუყოვნებლივ გადაეცემა ADB-ს ანტიკორუფციული და მთლიანობის ოფისს (OAI) გამოძიებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. [1]

მოქმედების სფერო

2. სატენდერო პროცესი მოიცავს შესყიდვების დაგეგმვას; სპეციფიკაციების ჩამოყალიბებას; მონაწილეობის პირობებს; ხარჯთაღრიცხვას; სატენდერო პაკეტს; სრული სატნედერო დოკუმენტაციის მომზადებას და გაცემას(მათ შორის წინასწარი კვალიფიკაცია ან შერჩევის მოკლე სია) საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით; შერჩევას, ხელშეკრულების მინიჭებაზე რეკომენდაციას, შეფასებასა და კონტრაქტის მინიჭების შესახებ საბოლოო შეტყობინებას. [2]

---

1 ამ დანართის პუნქტი 9.

2 ასეთ პროცესში არ შედის ხელშეკრულების მინიჭების გადაწყვეტილების შემდეგ ხელშეკრულების გაფორმება და შემდგომი ხელშეკრულების ადმინისტრირება ან მენეჯმენტი, რომელიც ექვემდებარება იურიდიული შეთანხმების პირობებს მსესხებელს და ხელშეკრულების მიმღებს შორის.

3 ამ დანართში მოცემული პროცედურები არ ვრცელდება შესყიდვების ალტერნატიული შეთანხმებების შემთხვევაში.[3] ასეთი შეთანხმებების შემთხვევაში, შესაძლებელია

ა) შესყიდვების მოქმედი წესები და პროცედურები იყოს პროექტში ჩართული სხვა მრავალმხრივი ან ორმხრივი სააგენტოს ან ორგანიზაციის მიერ დადგენილი (მათ შორის იმ მხარის მიერ დაგენილი წესებით როდესაც ასეთი მხარე მთავარ როლს ასრულებს შესყიდვების საქმიანობის განხორციელების მხარდაჭერასა და მონიტორინგში), ან ის წესები

ბ) რომლებსაც იყენებს მსესხებლის სააგენტო ან სუბიექტი ADB-სთან შეთანხმების გზით.

საჩივარი

4. საჩივარი არის წერილობითი ფორმით დაფიქსირებული კომუნიკაცია სატენდერო პროცესის შესახებ, მათ შორის ფოსტა, ელ.ფოსტა, ფაქსი ან კომუნიკაცია შესყიდვების ელექტრონული სისტემის საშუალებით (შემდგომში კომუნიკაცია), რომელსაც დაინტერესებული მხარე გადასცემს მსესხებელს ან / და ADB- ს, და ითვალისწინებს ADB–ს შესყიდვების პოლიტიკის ან სხვა რეგულაციის არასათანადო გამოყენების ან ამ წესების რომელიმე დარღვევის შესახებ განაცხადს. აღნიშნული მიზნებისათვის დაინტერესებული მხარე არის: პრეკვალიფიკაციის მონაწილე; მხარე, რომელიც დაინტერესებულია სატენდერო წინადადებით ან ინტერესის გამოხატვით; ან პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობა მიიღო წინადადების შეთავაზებაზე, ან შეატყობინეს ხელშეკრულების მინიჭების შესახებ (მათ შორის, ხელშეკრულებაზე მოწვევის განზრახვის შესახებ).

5. სატენდერო პროცესში, რომელიც ექვემდებარება ADB–ს წინასწარ განხილვას, მსესხებელმა საჩივრები დაუყოვნებლად უნდა გაუზიაროს ADB–ს, შესაბამისი ქმედებების მიმართულების განსაზღვრის მიზნით. ასეთ შემთხვევებში, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ADB-სთვის ყველა შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება, ასევე ბანკს უნდა მიეწოდოს დაინტერესებული მხარისთვის საპასუხო წერილის პროექტი, ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ADB-მ.

3 ამ რეგულაციების პუნქტი 1.9– 1.10.

დასაბუთება, მოიცავს სხვა საკითხებთან ერთად სატენდერო წინადადებას; შესყიდვის შესახებ სპეციფიკურ შეტყობინებას; წინასწარი კვალიფიკაციის მოსაწვევს; წინასაკვალიფიკაციო განაცხადს; ინტერესის გამოხატვას; და სხვა ნებისმიერ ყველა დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: სატენდერო წინადადება ან შეთავაზება, შაბლონები, ფორმები, კორესპოდენცია, უარის შესახებ შეტყობინება, ფინანსური ან ტექნიკური შეფასების ქულა, შეფასებული სატენდერო ფასი, მოკლე საინფორმაციო შეჯამება, სხდომის ოქმები, კომუნიკაცია მსესხელებელსა და ტენდერის მონაწილეს ან ADB-ს შორის.

განსახილველი მოთხოვნები

7. ეფექტური და სწრაფი გადაჭრის მიზნით, საჩივარში უნდა იყოს მითითებული შემდეგი:

ა) **ძირითადი ინფორმაცია:** წარდგენაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარის სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია და მისამართი. კონკრეტული პროექტის დასახელება, წინა პერიოდის კორესპოდენცია მსესხებელთან და ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

ბ) **სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ეტაპი:** უნდა განისაზღვროს სატენდერო პროცესის ეტაპი (პრეკვალიფიკაციის ან შერჩევის მოკლე სიის ჩათვლით). საჩივარმა თუ იგი წარდგენილია სატენდერო წინადადებების წარდგენამდე შეიძლება, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცვას:

i. შესყიდვის დოკუმენტაცია (მათ შორის პრეკვალიფიკაციისა და შერჩევის მოკლე სიის დოკუმენტაცია) და მასთან დაკავშირებული პროცესები და პროცედურები;

ii. მსესხებლის გადაწყვეტილება სატენდერო წინადადების ან შეთავაზების შეუსაბამოდ გამოცხადების შესახებ, ან პრეტენდენტის არაკვალიფიურობის შესახებ გადაწყვეტილება, თუ მსესხებელმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება წინადადების ან შეთავაზების ან პრეტენდენტის უარყოფაზე ხელშეკრულების მინიჭებამდე, შესაბამისი პროცედურის შესაბამისად; ან

iii. მსესხებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულების

მინიჭების შესახებ სხვა პრეტენდენტისათვის. [4]

გ) **სავარაუდო შეუსაბამობა ან დარღვევა:** მსესხებლის ქმედებები ან გარემოებები, რომლებიც იწვევს შესყიდვების პოლიტიკის შესაბამისი დებულებების ან/და პროცედურების სავარაუდო დარღვევას. დაზუსტებული უნდა იყოს ნებისმიერი რეალური ან პოტენციური უარყოფითი გავლენა დაინტერესებულ მხარეზე.

განხილვის პროცესი

8. საჩივრის განხილვის წესი და მსესხებლის მიერ ასეთი განხილვის შესაბამისი ვადა (და, შესაბამისობის შემთხვევაში, წინასწარი განხილვა, ADB– ს მიერ), დამოკიდებულია დარღვევის შინაარსზე, სატენდერო პროცესის ეტაპზე, და ექვემდებარება თუ არა აღნიშნული სატენდერო პროცესი წინასწარ ან პოსტ განხილვას, როგორც ეს შესყიდვების გეგმაშია მითითებული.
9. თაღლითობასა და კორუფციასთან დაკავშირებული ბრალდებები განიხილება წარმოდგენილი რეგულაციების 1.33. პუნქტის შესაბამისად.

წინასწარი განხილვა

10. თუ მსესხებელი საჩივარს მიიღებს წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე, აღნიშნული დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ADB-ს. ბანკს უნდა მიეწოდოს ორივე დოკუმენტის ასლი და ყველა სხვა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. დროული პასუხი[5] (მათ შორის, სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლა ან/და ვადის გახანგრძლივება, საჭიროების შემთხვევაში) უნდა შემუშავდეს მსესხებლის მიერ ADB– ს დასტურისათვის და ADB– ის თანხმობის მიღების შემდეგ, უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს. საჭიროების შემთხვევაში, მსესხებელს შეიძლება მოეთხოვოს ტექნიკური მოთხოვნის დანართის გამოცემა.

4 ასეთ შემთხვევაში, (ბ) და (გ) პუნქტების მიხედვით, საჩივარში უნდა აისახოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია, ნებისმიერი დაკავშირებული საინფორმაციო შეჯამებიდან.

5 ამ დანართში აღწერილი თითოეული საფეხურის შესაბამისი პერიოდები განისაზღვრება ADB– ს მიერ მსესხებლებისათვის გაცემულ მითითებებში.

11. თუ მსესხებელი მიიღებს საჩივარს განაცხადის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ ხელშეკრულების დადების შესახებ შეტყობინების მიღებამდე, ამგვარი საჩივარი დაუყონებლივ უნდა იქნას აღიარებული[6] ADB–ს უნდა მიეწოდოს ყველა დოკუმენტის ასლი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. დროული პასუხი (შესაბამისი სატენდერო წინადადების შეფასების ნებისმიერი შეთავაზებული ცვლილების ჩათვლით, საჭიროების შემთხვევაში) უნდა შემუშავდეს მსესხებლის მიერ და მიეწოდოს ADB–ს განხილვისათვის, დამტკიცების შემთხვევაში, წინადადების შეფასება უნდა შეიცვალოს საჭიროებისამებრ, რასაც მოჰყვება სათანადო შეტყობინება ხელშეკრულების მინიჭების შესახებ.
12. თუ მსესხებელი მიიღებს საჩივარს ხელშეკრულებაზე მოწვევის შესახებ ინფორმაციის გაცემის შემდეგ, ამ პერიოდის მოქმედების დროის განმავლობაში მსესხებელმა დროულად უნდა შეიმუშაოს პასუხი (ასევე მოახდინოს წინადადების შეფასების შესაბამისი ცვლილება, საჭიროების შემთხვევაში) ADB–ს განხილვისთვის და ბანკისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, აღნიშნულის შესახებ აცნობოს პრეტენდენტს.
13. თუ ხელშეკრულება ექვემდებარება ADB–ს წინასწარ შესწავლას შესყიდვების გეგმის თანახმად, მსესხებელმა უნდა გაიაროს კონსულტაცია ADB–სთან, საჭიროების შემთხვევაში, ისეთი ნაბიჯების შესახებ, რომ გასაჩივრებული სატენდერო პროცესი სათანადოდ წარიმართოს, სანამ საჩივრის არსებითი მხარე განიხილება მსესხებლისა და ბანკის მიერ.

პოსტ შეფასება (შერჩევითი მიდგომა)

14. თუ ხელშეკრულება, შესყიდვის გეგმის შესაბამისად, ექვემდებარება ბანკის მიერ პოსტ შეფასებას, მსესხებელმა უნდა მიიღოს ზომები, რომლსაც საჭიროდ მიიჩნევს, შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების გადასაჭრელად.

---

6 შესაბამისი გარემოებები გულისხმობს სიტუაციებს, როდესაც მსესხებელმა მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება, პრეტენდენტის წინადადების უარყოფაზე, ტექნიკური შეუსაბამობის ან სხვა გარემოების გამო, მოხდა შესაბამისი პროცედურების გამოყენებით პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია ვინმესათვის ხელშეკრულების მინიჭების გარეშე.

15. ADB–ს მიერ დაფინანსებულ პროექტებში, რომლებიც ექვემდებარება ბანკის მიერ პოსტ შეფასებას, საჩივრების ხასიათის, ღირებულების, მასშტაბისა და სიხშირის გათვალისწინებით, მსესხებელსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, უფლებას უტოვებს ამ უკანასკნელს მიიღოს ნებისმიერი ზომა შეუსაბამობის შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

16. ADB–მ შეიძლება მოითხოვოს შესყიდვების გეგმის[7] ცვლილება, რათა მასში ასახულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ან ყველა მათგანი:

ა) შესაძლებლობების განვითარების ახალი ან გაზრდილი მიზნობრივი პროგრამა;

ბ) პოსტ-შეფასებისათვის პროექტების შემთხვევითი შერჩევის სიხშირის ზრდა და/ან

გ) წინასწარი შეფასების შემოღება ზოგიერთი იმ პროექტისათვის, რომელიც თავდაპირველად პოსტ შეფასებისათვის იყო განკუთვნილი.

გადაწყვეტილება

17. მსესხებელმა დროულად და სრულად უნდა განიხილოს წარდგენილი საჩივარი, შეისწავლოს ყველა დაკავშირებული ფაქტი და გარემოებები, ამ დანართში მოცემული მიდგომების გათვალისწინებით.

18. საჩივარში გამოვლენილი ყველა პრობლემური საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს, რათა შესაძლებელი იყოს, საჭიროების მიხედვით, სატენდერო პროცედურებში ცვლილების შეტანა. ასევე დროულად უნდა მოხდეს გამოვლენილი საკითხების გადაჭრა, ბანკთან შეთანხმებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად.

19. მსესხებლის პასუხი საჩივარში წამოყენებულ ბრალდებებზე, ინფორმაციის სათანადო კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის დაცვით, უნდა იყოს მკაფიო, შინაარსიანი და სულ მცირე უნდა წარმოადგენდეს საკითხის გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების მკაფიო განაცხადს, შესაბამისი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის შედეგს, დასკვნებისა და გადაწყვეტილების და მათი მიღების საფუძვლების შესახებ განმარტებას. მსესხებელმა უნდა უზუნველყოს ADB–ს სათანადო, უწყვეტი ინფორმირება.

---

7 დანართი 6, პუნქტი 10.

როლები და პასუხისმგებლობები

ა) დაინტერესებული მხარე

20. დაინტერესებული მხარის საჩივარი ადეკვატურად უნდა იყოს თანდართული აუცილებელი ინფორმაციითა და დოკუმენტაციით, რაც ხელს შეუწყობს მსესხებლის მიერ საჩივრის სწრაფ განხილვას. აღნიშნული მოიცავს ძირითადი ინფორმაციის წარდგენას, სადავო სატენდერო პროცესის ეტაპის იდენტიფიცირებას და სავარაუდო შეუსაბამობის ან დარღვევის აღწერას.

21. საჩივრის ეფექტიანი განხილვისათვის, ნებისმიერი საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას დასაშვებ ვადებში, იმ შესაბამისი ოფიციალური პირის მიმართ, რომელიც შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით დანიშნულია ამგვარი საჩივრის მიმღებად. დაინტერესებულმა მხარემ უნდა გასწიოს გონივრული ძალისხმევა საჩივრის გადასაჭრელად განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული ხასიათის უზრუნველყოფისათვის.

ბ) მსესხებელი

22. საჩივრების განხილვაზე მსესხებლის პასუხისმგებლობა მოიცავს

ა) პრეტენდენტებისათვის დროული და საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას სატენდერო პროცედურებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების თაობაზე, რათა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საჩივრის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ;

ბ) ასევე, აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: საჩივრის მიღების აღიარებასა და დროულ განხილვას, მათ შორის დაინტერესებული მხარისათვის სათანადო შესაძლებლობების შექმნას, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებას იმის შესახებ თუ რატომ რჩება საჩივარში დასმული საკითხები გადაუჭრელი;

გ) საჩივრების სამართლიანად, მიუკერძოებლად და დროულად გადაწყვეტა;

დ) შესყიდვებისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვა, მათ შორის ნებისმიერი საწარმოო კომერციული ან ფინანსური ინფორმაციისა და/ან სავაჭრო საიდუმლოების კონფიდენციალურობის დაცვა, რომლებიც მითითებულია სატენდერო წინადადებებში ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;

ე) საჩივრების შესახებ სრული ჩანაწერის წარმოება და

მათი გადაწყვეტა; და

ვ) დროული და სრული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა ნებისმიერი საჩივრის შესახებ, ADB–ს მოთხოვნის შესაბამისად.

გ) აზიის განვითარების ბანკი

23. ADB–სთვის გაგზავნილი ყველა საჩივარი დაუყოვნებლივ გადაეგზავნება მსესხებელს განსახილველად და გადასაჭრელად. ADB განიხილავს საჩივრებში დაყენებული პრობლემური საკითხების მსესხებლის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ გადაწყვეტას. საჩივრის მიღების დადასტურების გარდა, ADB ჩვეულებრივ პირდაპირ არ შედის რაიმე განხილვაში ან კომუნიკაციაში ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან ხელშეკრულების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ.

მონიტორინგი და ანგარიშგება

24. მსესხებლები ვალდებულნი არიან მოამზადონ და შეინახონ მკაფიო და ყოვლისმომცველი დოკუმენტაცია და ჩანაწერები, რომლებიც ეხება შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა საჩივარს ამ დანართის დებულებების შესაბამისად, როგორც მსესხებლის, ისე ADB–ს მიერ ეფექტიანი მონიტორინგისა და პერიოდული ანგარიშგების, განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

25. ADB მიესალმება შესყიდვების ელექტრონული პლატფორმების გამოყენებას გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტის უზრუნველყოფისა და სრულყოფილი და საიმედო დოკუმენტაციის შეგროვების, ასევე შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების მონაცემების დროული ანალიზის მიზნობრიობით.

ხელშეკრულებების ადმინისტრირება

26. თუ დაკავშირებული სატენდერო პროცედურები ექვემდებარება ბანკის მიერ წინასწარ განხილვას, მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ADB– ს

ა) მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოების ან დავის შესახებ,

ბ) ასევე ბანკს უნდა ეცნობოს მსესხებლის მიერ შემოთავაზებული შესაძლო ვარიანტები ან/და ქმედებები აღნიშნული დავის გადაჭრისათვის.

დანართი 8

ხელშეკრულებების მენეჯმენტი

1. ხელშეკრულებების ეფექტიანი მენეჯმენტი მოითხოვს სისტემურ და ეფექტიან დაგეგმვას, შესრულებას, მონიტორინგს და შეფასებას, რათა მოხდეს შესრულების ოპტიმიზაცია რისკების მართვის პარალელურად, რაც უზრუნველყოფს ორივე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას, ფასის ღირებულებასთან შესაბამისობის საბოლოო მიზნის მისაღწევად.
2. მსესხებელმა შესყიდვის პროცესში შეძლებისდაგვარად ადრე უნდა დაიწყოს ხელშეკრულების შემუშავება. წარმოდგენილი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულების პირობები შეტანილ უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში, შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში. ხელშეკრულების დეტალიზების დონე დამოკიდებულია: ხელშეკრულების რისკსა და სირთულეზე და მასში მოცემული წესები და პირობები უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა რისკებს, ვალდებულებებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს.
3. ADB–სთვის მისაღები, ხელშეკრულებების მენეჯმენტის გეგმა შემუშავდება ხელშეკრულების შედგენის დროს და სრულდება ხელშეკრულების გაფორმებისას. შესაბამისი ხელშეკრულების ტიპის და პირობების განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელშეკრულებების მენეჯმენტის თავისებურებები, ასევე განსახორციელებელი საქმიანობის სირთულე, დაკავშირებული რისკები, მიზანთან შესაბამისობა, მხარეებს შორის რისკების ოპტიმალური განაწილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულების მენეჯმენტის გეგმა მოიცავს შესრულების ძირითად ინდიკატორებსა და მისაღწევ საკვანძო შედეგებს. მსესხებელმა უნდა გააკონტროლოს ხელშეკრულებების შესრულება და მიმდინარეობა ხელშეკრულების მართვის გეგმის შესაბამისად და დროულად წარუდგინოს ADB–ს ანგარიშგებები.
4. მსესხებლები აქტიურად მართავენ თითოეულ კონტრაქტს ხელშეკრულების მართვის გეგმის შესაბამისად, მისი ხანგრძლივობის განმავლობაში, მითითებული შესრულების ძირითადი ინდიკატორების გამოყენებით, რათა უზრუნველყონ

კონტრაქტორის მიერ დამაყოფილებელი შესრულება, ხელშეკრულების მოთხოვნების უზრუნველყოფა და დაინტერესებული მხარეების ეფექტიანი ინფორმირება, კმაყოფილება მიღებული საქონლით, სამუშაოებით და არა საკონსულტაციო მომსახურებით. ხელშეკრულების შესრულების შეფასება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დასრულებისთანავე, გაწეული სამუშაოს შესრულების შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, სამომავლო კონტრაქტებისთვის მიღებული გამოცდილების დასადგენად.

5. კონტრაქტის სირთულიდან, ღირებულებიდან, რისკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე კონტრაქტების მენეჯმენტის გეგმა, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) მარტივი და მცირე ღირებულების კონტრაქტებისთვის:

i. ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები;
ii. ძირითადი საკონტრაქტო თარიღები და მიწოდების ეტაპები;
iii. ბიუჯეტი, გადახდის ეტაპები და
iv. აღრიცხვის მოთხოვნები.

ბ) დიდი ღირებულების, მაღალი რისკის შემცველი ან რთული კონტრაქტებისთვის: წარმოდგენილ უნდა იყოს ხელშეკრულების რეზიუმე, რაც გულისხმობს:

i. პოტენციური რისკების აღწერას (როგორიცაა კონტრაქტით განსაზღვრულ სამუშაო ადგილზე შესვლის უფლების შეფერხება, გადახდის შეფერხება და მსესხებლის სახელშეკრულებო ან სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკონტრაქტო დავა) და მათი შერბილების ღონისძიებებს;
ii. მხარეთა ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია, როლები და პასუხისმგებლობები;
iii. კომუნიკაციისა და ანგარიშგების პროცედურები;
iv. ძირითადი სახელშეკრულებო პირობები;
v. სახელშეკრულებო ეტაპები, მათ შორის კრიტიკული გზა (განისაზღვრა პრობლემების ადრეული გამოვლენისა და შერბილების უზრუნველსაყოფად) და გადახდის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება საკონტრაქტო დებულებებს;
vi. კონტრაქტით განსაზღვრული ძირითადი შედეგების მიღწევა, იდენტიფიცირებული და სათანადოდ აღწერილია, რათა შემსყიდველმა ადვილად შეძლოს მონიტორინგი და ანგარიშგების განახლება, ნებისმიერი იმ ცვლილების აღწერით რასაც შესაძლოა ადგილი ქონდეს კონტრაქტის შესრულებისას;
vii. შესრულების ძირითადი მაჩვენებლები და მათი

რაოდენობრივი შეფასების პროცესი;

viii. ხელშეკრულების ცვლილების კონტროლის მექანიზმები; და

ix. აღრიცხვის მოთხოვნები.

6. ხელშეკრულების შესრულების დროს, მსესხებელმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების მენეჯმენტის გეგმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ორივე ხელშემკვრელი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, სადაც ეს შესაძლებელია, შესაძლო სახელშეკრულებო დავების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა. იქ, სადაც ეს შეუძლებელია, კონტრაქტში გათვალისწინებული დავების გადაჭრის სხვა მექანიზმების გამოყენება მჭიდროდ უნდა გაკონტროლდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებების დროული მიღება. დიდი და რთული ხელშეკრულების მონიტორინგისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტული და მიუკერძოებელი მესამე მხარის ზედამხედველობა.

დანართი 9

ფუნქციები და ვალდებულებები აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში

მიზანი

7. ეს დანართი განმარტავს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებულ შესყიდვების სატენდერო პროცედურებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს. შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცესში არსებული როლები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება მე-7 დანართით.

პასუხისმგებლობა შესყიდვებზე

8. მსესხებელი ამზადებს შესყიდვების გეგმას, რომელიც შეთანხმებულია აზიის განვითარების ბანკთან. შესყიდვებზე იურიდიულად პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია მსესხებელი.[1] იგი იწვევს, იღებს და აფასებს წინადადებებსა და აფორმებს კონტრაქტს. ხელშეკრულება გაფორმებულია მსესხებელსა და მიმწოდებელს, მომსახურების მიმწოდებელს ან კონტრაქტორს შორის. ADB არ არის ხელშეკრულების მხარე. პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელებაზე, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში საქონლის, სამუშაოების და მომსახურების მიწოდებაზე გადახდები, ეკისრება მხოლოდ მსესხებელს.[2]

---

1 დანართი 6, პუნქტი 6.

2 ADB. 2015 (პერიოდული განახლებების შესაბამისად). აზიის განვითარების ბანკის სესხის ჩამორიცხვის ცნობარი. მანილა. სესხის ჩამორიცხვის პროცედურები შესყიდვებისა და სხვა პროცესების დროს მოცემულია: https://www.adb.org/ documents/loan-disbursement-handbook

აზიის განვითარების ბანკის როლი

3. შესყიდვების გეგმა განსაზღვრავს ხელშეკრულებათა იმ ტიპებს, სადაც შესყიდვის დოკუმენტები წინასწარ განიხილება ADB– ს მიერ, როგორც ეს აღწერილია დანართ 2-ში.

4. თუ ADB–მ ნებისმიერ დროს დაასკვნა, რომ შეთანხმებული პროცედურები არსებითად არ იყო დაცული,[3] ბანკს შეუძლია განაცხადოს შეუსაბამობის შესახებ, როგორც ეს აღწერილია პარაგრაფებში 1.29– 1.30. თუ მსესხებელმა დადო ხელშეკრულება ADB–სგან თანხმობის მიღების შემდეგ, ADB აცხადებს შეუსაბამობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცემულ იქნა მსესხებლის მიერ არასრული, არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე.

5. თუ ADB დაადგენს, რომ კორუფციული ან თაღლითური საქმიანობა განხორციელდა მსესხებლის ან პრეტენდენტის წარმომადგენლების მიერ, მას შეუძლია დააწესოს შესაბამისი სანქციები როგორც ეს განსაზღვრულია ანტიკორუფციულ პოლიტიკაში (1998, ბოლო პერიოდის ცვლილებების ჩათვლით).

6. ADB–მ გამოაქვეყნა სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია სხვადასხვა სახის შესყიდვებისთვის, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მსესხებლების მიერ შესყიდვების ნებისმიერი შეთანხმებული გეგმის დებულებების შესაბამისად.

7. შესყიდვების გეგმის შემუშავებისას, განსაკუთრებით მყიფე და კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის, თუ დადგინდა რომ განმახორციელებელი სააგენტოს შესყიდვების შესაძლებლობები ან რესურსები ან ამ ტიპის საქმიანობის წინა გამოცდილება არასაკმარისია, რაც შესყიდვებს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს, ADB-მ შეიძლება შესთავაზოს მსესხებელს შესყიდვების განხორციელების გაფართოებული მხარდაჭერის პროგრამა. ყველა შემთხვევაში, პროექტის შესრულება რჩება მსესხებლის პასუხისმგებლობის ფარგლებში და განხორციელების გაფართოებული მხარდაჭერა არ იწვევს ADB–ს მიერ მსესხებლის სახელით შესყიდვების განხორციელებას.

---

3 ADB ჩვეულებრივ ახორციელებს პროექტის ყოველწლიურ და შუალედურ მიმოხილვას პროექტის განხორციელების პროცესში, რაც მოიცავს მათ შორის პროექტის შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ინფორმაცია წინადადებების წარმოდგენაზე

8. ღია კონკურენციის პირობებში სატენდერო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შესყიდვების გეგმებიდან და შესყიდვების შესახებ სპეციფიკური შეტყობინებებიდან. ზოგადი მითითებები მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე წინასწარი ინფორმაცია ბიზნესის შესაძლებლობების შესახებ მომავალ პროექტებში შეგიძლიათ ასევე მიიღოთ ADB-ს ვებსაიტიდან.[4]

პრეტენდენტის როლი

9. პრეკვალიფიკაციის ან სატენდერო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, პრეტენდენტმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს დოკუმენტები, რათა გადაწყვიტოს, აკმაყოფილებს თუ არა მას ტექნიკური, კომერციული და სახელშეკრულებო პირობები და, თუ ასეა, განაგრძოს წინადადების მომზადება.

10. შემდეგ ეტაპზე პრეტენდენტმა კრიტიკულად უნდა განიხილოს სატენდერო დოკუმენტაცია იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე გაურკვევლობა, გამოტოვება ან წინააღმდეგობა, ან სპეციფიკაციების, მონაწილოების ვადების ან სხვა პირობების გაურკვეველი ან დისკრიმინაციული ან შემზღუდველი პირობები. ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა მოითხოვოს მსესხებლისგან განმარტება წერილობით, სატენდერო დოკუმენტებში მითითებულ ვადებში განმარტებების მისაღებად.

11. წარმატებული პრეტენდენტის შერჩევის კრიტერიუმები და მეთოდოლოგია ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში. თუ ეს უკანასკნელი არ არის ნათელი, მსესხებლისგან ანალოგიურად უნდა მოითხოვოთ განმარტება.

12. როგორც ამ რეგულაციების 1.2 პარაგრაფშია განმარტებული შესყიდვების თითოეული ეტაპი რეგულირდება მსესხებლის მიერ გაცემული სატენდერო დოკუმენტაციით. თუ პრეტენდენტმა დაასკვნა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის რომელიმე დებულება შეუსაბამოა ამ რეგულაციებთან, მან აღნიშნული საკითხი ასევე უნდა დააყენოს მსესხებელის წინაშე.

---

4 ADB. ბიზნესის შესაძლებლობები. https://www.adb.org/site/business-opportunities/main

13. პრეტენდენტის პასუხისმგებლობაა დააყენოს ნებისმიერი საკითხი ბუნდოვანების, წინააღმდეგობის, გამოტოვების და ა.შ. შესახებ, წინადადების წარდგენამდე, უზრუნველყოს სრულად საპასუხო და შესაბამისი წინადადების წარდგენა, სატენდერო და დართული დოკუმენტაციის მოთხოვნათა მიხედვით.

14. კრიტიკულ მოთხოვნებთან (ტექნიკური და კომერციული) შეუსრულებლობა გამოიწვევს წინადადების უარყოფას. თუ პრეტენდენტს სურს წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება არაკრიტიკულ მოთხოვნების მიმართ, ამ უკანასკნელმა უნდა ჩამოაყალიბოს ფასი სრულ შესაბამისობაში ტექნიკურ მოთხოვნებთან და შემდეგ ცალკე მიუთითოს ფასის კორექტირება, რომელიც შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნას მხოლოდ ალტერნატიული წინადადების მისაღებად ჩათვლის შემთხვევაში. ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეთავაზება ნებადართული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციაში.

15. წინადადებების მიღების და საჯაროდ გახსნის შემდეგ, პრეტენდენტებს არ მოეთხოვებათ ან ნებადართული არ აქვთ შეცვალონ წინადადების ფასი ან შინაარსი.

კონფიდენციალურობა

16. სატენდერო წინადადების შეფასების პროცესი კონფიდენციალურია კონტრაქტის დადების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამდე. აღნიშნული აუცილებელია იმისთვის, რომ მსესხებელმა და ADB– მ თავიდან აიცილონ არასათანადო ჩარევის ალბათობა ან ამგვარი აღქმის ჩამოყალიბება.

აზიის განვითარების ბანკის მიერ განსახორციელებელი ქმედებები

17. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაგზავნონ მსესხებელთან მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები უშუალოდ აზიის განვითარების ბანკში, როდესაც მსესხებელი დროულად არ პასუხობს ამგვარ წერილებს ან საჩივრებს. ყველა ასეთი დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს პროექტის ოფიცრის სახელზე, ასლის გაგზავნით ოპერატიული მომსახურებისა და ფინანსური მართვის დეპარტამენტის გენერალური დირექტორისადმი.

18. ADB–ს მიერ მიღებული ინფორმაცია პოტენციური პრეტენდენტებისგან, წინადადებების წარმოდგენის დასრულების თარიღამდე, საჭიროების შემთხვევაში გადაეცემა მსესხებელს ADB–ს კომენტარებითა და რეკომენდაციებით ქმედითი რეაგირებისთვის.

19. წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტებისგან მიღებული ინფორმაცია განიხილება შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები არ ექვემდებარება ADB–ს წინასწარ განხილვას, მიმოწერა გადაეგზავნება მსესხებელს სათანადო განხილვისა და შესაბამისი ზომების მისაღებად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ისინი განიხილება ADB–ის თანამშრომლების მიერ პროექტის შემდგომი ზედამხედველობის დროს.

20. იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებები განიხილება წინასწარი განხილვით, ინფორმაციის განხილვა შესაძლებელია ADB–ს მიერ, მსესხებელთან კონსულტაციის საფუძველზე. თუ ამ პროცესის დასასრულებლად ADB მოითხოვს დამატებით მონაცემებს, მსესხებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია.

21. თუ პრეტენდენტისგან საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება ან განმარტება, ADB სთხოვს მსესხებელს შეფასების ანგარიშში მიიღოს და გააკეთოს კომენტარი ან შეიტანოს ასეთი დამატებითი ინფორმაცია. ADB–ს განხილვა არ დასრულდება, სანამ მოწოდებული ინფორმაცია სრულად არ შეისწავლება და არ განიხილება.

22. ინფორმაციის მიღების დადასტურების გარდა, ADB ჩვეულებრივ არ შევა განხილვაში ან მიმოწერაში შესყიდვის შეფასების და განხილვის პროცესში, სანამ არ გამოქვეყნდება ხელშეკრულების მინიჭების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის მიუხედავად, ADB–ს შეუძლია განხილვაში შევიდეს იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ ჩათვლის გამოძიების ჩატარებას, აუდიტს, შეფასებას, ან შესყიდვების პროცესის სხვა კომპონენტში ჩარევას.

მოკლე საინფორმაციო შეჯამების მომზადება

23. თუ კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების შემდეგ, პრეტენდენტს სურს გაარკვიოს, თუ რა მიზეზით არ არის შერჩეული მისი სატენდერო წინადადება, მან თხოვნით უნდა მიმართოს მსესხებელს აღნიშნულის თაობაზე. თუ პრეტენდენტი მიღებული ახსნა-განმარტებით უკმაყოფილოა და სურს ADB-სთან შეხვედრა, ეს შეიძლება გააკეთოს წერილობით საოპერაციო მომსახურებისა და ფინანსური მენეჯმენტის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მიმართ, რომელიც გამართავს შეხვედრას შესაბამის დონეზე და შესაბამის პერსონალთან. ამ დისკუსიის დროს შესაძლებელია განხილულ იქნას მხოლოდ პრეტენდენტის წინადადება და არა კონკურენტების წინადადებები.

აზიის განვითარების ბანკის შესახებ

აზიის განვითარების ბანკის ხედვაა სიღარიბისგან თავისუფალი აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები. ბანკის მისიაა დაეხმაროს ბანკის წევრ განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. რეგიონის მრავალი წარმატების მიუხედავად, იგი მსოფლიოში ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილის საცხოვრებლად რჩება. ADB მოწოდებულია შეამციროს სიღარიბე ეკოლოგიურად მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და რეგიონალური ინტეგრაციის გზით.

მანილაში დაფუძნებული აზიის განვითარების ბანკის მფლობელია 67 წევრი ქვეყანა, მათ შორის 48 უშუალოდ აზიის რეგიონიდან. ბანკის მთავარი ინსტრუმენტები განვითარებადი წევრი ქვეყნების დასახმარებლად არის პოლიტიკის დიალოგი, სესხები, კაპიტალის ინვესტიციები, გარანტიები, გრანტები და ტექნიკური დახმარება.

აზიის განვითარების ბანკი
6 ADB Avenue, Mandaluyong City
1550 Metro Manila, Philippines
www.adb.org